# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 16 მაისი. 2019 წ. №96 (8762) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## ნუთუ უნიჭიერეს მეგრელებს ჰოლანდიელი აგენტი-მეხრე მოენატრათ?!

გულითადად მოგესალმები სამეგრელოვ!.. საქართველოს ულამაზესო კუთხევ... შენი მშვენიერი და საგულდაგულოდ მოვლილი სახლ-კარით, ეზო-ყანით, ტყითა და ჭალებით, ანკარა წყაროებითა და მდინარეებით, თვალწარმტაცი ბუნებით, მინერალური და თერმული წყლებით, ციტრუსებითა და ხეხილით დაყურსული შემოგარენით და გულის გულით დიდი ილიას ნაკვალევდასმული ზუგდიდით, მისი კეთილშობილი, სტუმართმოყვარე, ალალი, მრავალჭირნახული ხალხით და ჩემი 2012 წლის საარჩევნო პერიოდის ნაცნობებით და მასპინძლებით...

იხ. 5 გვ.

## გარყვნილობის ღვარცოფი

## ზნეობრივი პედერასტია



3

## სამეგრელოს დღეს დიდი მამულიშვილური მისია აკისრია, მეგრელებმა ზუგდიდი უნდა იხსნან საყოველთაო სირცხვილისგან, ხმა არ უნდა მისცენ ნაცხროვის კანდიდატს სანდრა რულოვსს!

## საწვავს გააძვირებს არა აშშ-ირანის დაპირისპირება, არამედ გაუფასურებული ვალუტა

8

◉ მგლები ცხვრის ტყავში

# სანდრა რულოვსის „აღდგენითი სამუშაოები“



## ნაციონალების მხარდამჭერებო, წაიკითხეთ ეს სტატია და გადაირჩინეთ სული! გადაირჩინეთ ოჯახები, გადაირჩინეთ სამშობლო!

**„რას მაგონებს ეს სიტუაცია?“**

ეს კითხვა დატრიალდა ჩემში, როდესაც საქართველოდან გაქცეულმა ექსპრეზიდენტმა მ.სააკაშვილმა (მაინც) თავისი მეუღლე — ქალბატონი სანდრა ელისაბედ რულოვსი ფსიქოლოგიურად შესაბამისად აღჭურვა (ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თვალებშიც კი ჩაახედა) და ყოფილ სამშობლოში პოლიტიკური ბრძოლის წინა ხაზზე: საარჩევნო მარათონში მაჟორიტარ დეპუტატად გამოამწესა.

და მერე უცებ მივხვდი:

ღმერთო, ჩემო, რას მაგონებს და, ჯაყომ მძიმე საფქვავი რომ აჰკიდა მარგოს და წისქვილისაკენ გაუყენა გზას!

რა თქმა უნდა, ჯაყო და მარგო!

ბევრი ქართული რომანი ისევე მავსებს აუტანელი სევდით, როგორც ქართული ყოფა-ცხოვრება, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი მაინც სხვაა. აქ უკიდურესობები ბოლომდეა გამწვავებული: ძალადობა უძველესი ქართული არისტოკრატიული გვარების უკანასკნელ შთამომავლებზე (ერთ დროს კეთილშობილ, მაგრამ საზრისდაკარგულ, უადგილო ცოლქმარზე) ხორციელდება: მათსავე კუთვნილ სასახლეში, მათივე მსახურის — (არაქართველი) ნახევრადცხოველის მიერ.

ცხოვრება კი თავისებურად ერთობა კალეიდოსკოპის ტრიალით, პოლიტიკური კატაკლიზმები კონფიგურაციებს ჩქარ-ჩქარა ცვლიან, პერსონაჟების გარეგნული მახასიათებლები, იქნება ეს ჩაცმულობა, წარმომავლობა თუ ლინგვისტური შესაძლებლობები, დროთა შესაბამისად იცვლება, ეპოქა დრამის რიტმს აჩქარებს, სიუჟეტის რედუცირებას ახდენს, ხშირად ორ პერსონაჟს ერთში აერთიანებს, მაგრამ არსი იგივე რჩება: ძალმომრეობის, ცბიერების, მუხანათობის, სიბრიყვისა და უსირცხვილობის მდგრადობა ულმერთო და უპატრონო ქვეყანაში. მუდმივი შანსი ამ ყოველივესთვის: ავიდეს ტახტზე.

ახლა კონკრეტულად: ცნობილია, რომ თანამედროვე დემოკრატიული ჰუმანიზმის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

მაგრამ, როგორც მოგვეხსენება, ეს მორალური კანონი აღარ ვრცელდება მაღალი თანამდებობის საჯარო პირებზე, პირველ რიგში კი პრეზიდენტზე. რადგან: ხელისუფლების საქციელს, მის ეთიკურ სახეს დიდი გადამდები ძალა აქვს და იმ შემთხვევაშიც კი ახდენს გავლენას ხალხის დიდი ნაწილის ზნეზე, როცა ეს ხალხი მას არ ენდობა. უფრო ზუსტად და ლაკონიურად ვერ იტყვი: „თევზი თავიდან ყროლდება“. ხალხს სჭირდება, ზნეობრივი საყრდენების შენარჩუნებისათვის საჭირო ძალა მიიღოს უმაღლესი ხელისუფლებისაგან.

(ხალხურ ლექსში: ქალსა და ვაჟს ერთმანეთი მოეწონათ, მაგრამ ახლო ნათესავები აღმოჩნდნენ. ქალმა ძალიან განიცადა, ვაჟი კი ეუბნება: „არა უშავს რა, ქალაო, დროება გამოგვეცვალა, რუსი დაგვიდგა ხელმწიფედ, ერეკლე გარდაგვეცვალა“).

ამიტომ პრეზიდენტი მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკურ მეთაურად არ მოიაზრება, იგი, ასევე, ერთგული, მოყვარული და ყურადღებიანი მეუღლისა და მამის (ან დედის) განსახიერებაც უნდა იყოს.

ოჯახი ხომ სრულიად სამართლიანად განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ამერიკის ფუნდამენტურ ღირებულებათა შკალაზე (რაც, სხვა მხრივ ამერიკის ადეპტებად ქცეულ, ქართველ „ნაციონალურ წინამძღოლებს“ ნაკლებად აღელვებდათ). ამერიკის შეერთებული შტატების სიძლიერისა და წარმატებულობის ერთ-ერთ მიზეზად ხომ ამერიკული ოჯახის სიმტკიცეც სახელდება.

იხ. 6-7 გვ.

# საქართველოს პრეზიდენტი ლატვიას ესტუმრა



**ლატვიის დედაქალაქ რიგაში საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.**

ოფიციალური დახვედრის ცერემონიის ფარგლებში, შესრულდა საქართველოსა და ლატვიის სახელმწიფო ჰიმნები, პრეზიდენტებმა პატივი მიაგეს საქართველოსა და ლატვიის სახელმწიფო დროშებს და ერთმანეთს ოფიციალური დელეგაციები წარუდგინეს.

საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრები არიან: საქართველოს ელჩი ლატვიის რესპუბლიკაში თეა მაისურაძე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნათია სულავა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მიხეილ ნინუა, საგარეო საქმეთა ევროპული დეპარტამენტის დირექტორი ნინო ბარათაშვილი და პრეზიდენტის მრჩეველი ქეთევან თათოშვილი.

**სალომე ზურაბიშვილმა რაიმონდს ვეიონისის არტ-ჯგუფის კოლექციიდან „ისტორიალი“ თრიალეთის თასის (ძვ.წ. XVIII-XVII სს). ვერცხლის მოოქროვილი ასლი უსახსოვრა, რომელიც შესრულებულია მხატვარ ზურაბ ფოცხიშვილის და ოქრომჭედელ ვასილ (ჯონი) თვაურის მიერ.**



# მამუკა ბახტაძე კასიმ-ჟომარტ ტოკაევს ესაუბრა

**საქართველოსა და ყაზახეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ძალიან ფართო პერსპექტივა აქვს და მნიშვნელოვანია ამ მხრივ არსებული პოტენციალის სრულად ათვისება,** — ამის შესახებ საქართვეელოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ კასიმ-ჟომარტ ტოკაევის შეხვედრაზე აღინიშნა.

პრეზიდენტმა ტოკაევმა პრემიერ-მინისტრ ბახტაძეს, დელეგაციასთან ერთად, „აკორდას“ სასახლეში უმასპინძლა. საუბრისას ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი კომისიის საქმიანობაზე, რომლის ფარგლებში მხარეებმა სავაჭრო ბრუნვის გაორმაგების კონკრეტულ გზებზე უნდა იმსჯელონ. პრემიერის შეფასებით, ამ პროცესში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს დღეს ხელმოწერილი საგზაო რუკაც, რომელიც 2019-2022 წლებში საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის საქონელბრუნვის ნომენკლატურის გაფართოებას გულისხმობს.

# საქართველო-ყაზახეთი: ეკონომიკური ურთიერთობები ღრმავდება

**„ყაზახეთი ჩვენი ტრადიციული ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორია, ჩვენ ვხედავთ ძალიან დიდ ნებას, რომ ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდეს. ამ ეტაპზე ჩვენ უკვე გვაქვს საშუალება, ვისაუბროთ არა მარტო ორმხრივ ვაჭრობაზე და სატრანსპორტო მიმოსვლის გაფართოებაზე, არამედ ერთობლივ ინვესტიციებზეც“,** — განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ, რომელიც ყაზახეთში საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში იმყოფება.

მინისტრის განცხადებით, საქართველო ყველა ინვესტორსა და მათ შორის ყაზახეთის წარმომადგენლებს საუკეთესო საინვესტიციო გარემოს სთავაზობს.

მისივე თქმით, ყაზახურ მხარესთან მიმდინარეობს საუბარი ორმხრივად საინტერესო პროექტების შესახებ, რაც საქართველოში ერთობლივი საწარმოების შექმნას გულისხმობს, მათ შორის, ლოგისტიკის, ვაჭრობისა და გადამუშავების სფეროში.

**„გადამუშავების სფეროს რაც შეეხება — ყაზახეთს ამოცანა აქვს, თავისი სანავთობო და ნავთობგადამმუშავებელი ინდუსტრიის დივერსიფიკაცია მოახდინოს და გადამუშავების შემდგომი ეტაპები და მასთან დაკავშირებული წარმოებები, მაგალითად — ნავთობქიმია და გაზოქიმია ერთობლივად განავითაროს, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე“,** — განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

ქართულ-ყაზახურმა მხარეებმა ასევე ისაუბრეს ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებაზე, მათ შორის სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვნად გაზრდის კუთხით არსებულ პერსპექტივებზე. ასევე ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფნის როლი და, შესაბამისად, ტრანსპორტის და ლოგისტიკის მიმართულებით თანამშრომლობის დიდი პოტენციალი. პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაციის ყაზახეთში ვიზიტის ფარგლებში უკვე გაფორმდა ორი მნიშვნელოვანი ორმხრივი დოკუმენტი — სატრანსპორტო მიმოსვლის ნორმალიზაციისა და ხელშეწყობის, ასევე ტვირთბრუნვის გაფართოებისა და დამატებით საექსპორტო-საიმპორტო საქონლის გამოვლენის მიმართულებით.



**„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, დამატებითი ტვირთების მოზიდვა ჩვენს საერთო დერეფანში, მათ შორის ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა — სამხრეთ კორეა და ჩინეთი. ამ თემაზე იყო ძალიან პროდუქტიული საუბარი“,** — აღნიშნა ნათია თურნავამ.






# 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღეა

**17 მაისს თბილისში რესპუბლიკის მოედნიდან სამების საკათედრო ტაძრის სამღვდელობა მსვლელობას მოაწყობს, — ამის შესახებ ნათქვამია ვიდეომიმართვაში, რომელიც გუშინ გავრცელდა.**

სამღვდელოება საზოგადოებას მოუწოდებს, შეუერთდნენ მათ მსვლელობას.

**„ძმანო და დანო! 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღეა. მოგეხსენებათ, რომ ქრისტანული ოჯახი მცირე ეკლესიაა, სწორედ ამიტომ, დემონურმა ძალებმა განსაკუთრებული ბრძოლა გამოუცხადეს ოჯახის ინსტიტუტს სხვადასხვა მეთოდით და საშუალებით. თუნდაც იმით, რომ ოჯახის იმიტაციას ახდენენ სოდომური ცოდვის შერწყმით და ასე განზოგადებით ოჯახისა, რაც არის უმძიმესი ცოდვა. დანაშაული ღვთის, ადამიანის, ზნეობის, ოჯახის ინსტიტუტის წინაშე.**

**აქედან გამომდინარე, რამდენიმე წლის წინათ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, დადგინდა სწორედ ოჯახის სიწმინდის დღე და განისაზღვრა მისი თარიღი 17 მაისი. ჩვენ ვაწყობთ მსვლელობას, პარასკევს, 17 მაისს, 10 საათიდან. ვიკრიბებით რესპუბლიკის მოედანზე — სამღვდელოება, მრევლი, საზოგადოება. აღვასრულებთ სავედრებელ პარაკლისს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმართ და შემდეგ მოეწყობა მსვლელობა სამების საკათედრო ტაძრისკენ. შემოგვიერთდით“,** — ნათქვამია ვიდეომიმართვაში.



# ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲔᲓᲔᲠᲐᲡᲢᲘᲐ

**ᲞᲔᲓᲔᲠᲐᲡᲢᲘᲐ — სამედიცინო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი (ბერძნ. paiderastia) — სქესობრივი გარყვნილება, მამათმავლობა. არაბუნებრივი სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცთა შორის. იგივე ურანიზმი. აქტიურ პედერასტს პედიკატორი ეწოდება, პასიურს კი კინედე, ანდროფილი.**

მინდა, განვმარტო, რომ მე კლასიკური განმარტებების მომხრე ადამიანი ვარ და მაინცდამაინც არ ვცნობ იმ ტერმინებს, რომლებსაც ეს ჩვენი „უგზო-უკვლოდ" და „ცივილურად განათლებული" ტიპები, თითქმის ყოველდღე ნერგავენ ქართულ ენაში.

ამ მარტივი მიზეზის გამო არ ვცნობ სიტყვებს — გეი, ცისფერი, ლგბტ, დილერი დ.ა.შ. რომლებითაც ცდილობენ, „შეფუთონ" სიტყვები „პედერასტი" ან „ბარიგა".

არ ვცნობ და ვიცი, რომ დამპალი ვაშლი, როგორ ქაღალდშიც არ უნდა გაახვიო, მაინც დამპალია!

ამ განმარტების ბოლოს კი დავამატებ, რომ მე წარმოშობით იმერელი კაცი ვარ. ამიტომ ჩემს საუბარს შეიძლება ცოტა აქცენტი ჰქონდეს და თუ ვთქვათ სიტყვა „პედერასტის" ნაცვლად „პიდარასტი" ვთქვი, არ დამძრახოთ.

ამ წერილის დაწერა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა, რომელთაგან „ჩვენი პიდარასტების" მიერ 17 მაისის, როგორც ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, ერთ-ერთი ბოლოა, რადგანაც არ ვთვლი ამ არსებებს იმის ღირსად, რომ რაიმე ყურადღება მივაქციო, მაგრამ ის საზიზღარი აგრესია, რომელსაც ნორმალური ადამიანების მიმართ ახორციელებენ და ხშირ შემთხვევაში იმარჯვებენ, არ მაძლევს უფლებას ჩუმად ვიყო.

ამ ორიოდ დღის წინათ ტელეკომპანია „რიონის" წამყვანმა სოფო ბასილაშვილმა არხი დატოვა. ამის მიზეზი ტერმინ „პიდარასტის" ეთერში ხსენება გახდა, რაც ლგბტ თემის წარმომადგენლებმა ჰომოფობიურ გამონათქვამად შეაფასეს და უჩივლეს.

**„სამომავლოდ, უახლოეს პერიოდში ტელესივრცეში დავბრუნდები უფრო მომზადებული და სხვა ფორმატით. მანამდე შევისწავლი მოთმინებას და ქარტიის წესებს, პიდარასტი როგორ უნდა ვთქვა, დედამოტ..ლი როგორ და ა.შ.**

**ეს ხუმრობით.**

**ჩემთვის კარგი სიახლეებით დავბრუნდები, რა თქმა უნდა, ლგბტ თემს როგორ მოეწონება, არ ვიცი, მაგრამ აუცილებლად, წესების დაცვით ვიმოქმედებ გადაცემაში.**

**ჩემი გადაცემა იმდენად თავისუფალია, ხშირად სტუმარსაც ავიწყდებოდა, ეთერში რომ იჯდა.**

**ასობით ადამიანს, რომელიც მწერს და ღამეებს ვანდომებ კითხვას და პასუხის გაცემას, მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო. ამდენი სიყვარული, სითბო და თანადგომა მოდის მათგან.**

**ამ ხალხმა დამაყენა ფეხზე და მომცა სტიმული... ემიგრანტებს, პირველ რიგში, უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო. ვინც გაიგო, არავინ არ დატოვა ეს საკითხი უყურადღებოდ.**

**არცერთმა ქართველმა, ვისაც საქართველო უნდა გამრავლებული და გამთლიანებული, და კიდევ, მე ჰომოფობი არ ვარ. მაგრამ, როცა ეკლესიას, სარწმუნოებას და პატრიარქს ეხებიან, მაშინ მეც ვეხები მათ",** — განაცხადა ჟურნალისტმა.

ჩემი სრული სოლიდარობა სოფო ბასილაშვილს!

ᲡᲐᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲝᲓ, ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ ᲐᲛ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲨᲕᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲗᲣ „ᲖᲔᲬᲝᲚᲘᲡ" ᲠᲐᲘᲛᲔ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲒᲐᲡᲪᲔᲛᲡ ᲞᲘᲓᲐᲠᲐᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲡ.

მეორე მიზეზი კი იყო ის, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში დავწერე პოსტი, სადაც ძალიან ხისტად გამოვხატავდი ჩემს პოზიციას იმ მომღერლების მიმართ, რომლებმაც ვითომდა „დაპირისპირების აცილების" მიზნით, უარი განაცხადეს 17 მაისს ოჯახის სიწმინდის დღისადმი საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობის მიღებაზე.

არ უნდა ამას ბევრი ბალალაიკა და პირდაპირ დავარქვათ თავისი სახელი: ამ ე.წ. „ვარსკვლავებს" @@ც უნდათ ტა@@ში, სული — სამოთხეში და მაყუთი — ჯიბეში.

„ვარსკვლავობაზე" და „მოღვაწე ტიპობაზე" რომ გაქვს „ფრითენზია", იმის თავიც უნდა გქონდეს, რომ შენი ნამდვილი სახე ხალხს აჩვენო. შენი პოზიცია პირდაპირ თქვა და კონფორმისტობას თავი დაანებო.

გეია ელტონ ჯონი, მაგრამ თქვენნაირ ტ@@ის მოთამაშეებს ასი თავით სჯობს და ის გოგი გვახარია, ვინც ცუციკებივით შეგაყანყალათ, თქვენზე მაგარი ტიპია.

„მოღვაწეები" არა, შვანცკი... სულით პიდარასტი „ვარსკვლავი" არავის სჭირდება. რა მაგალითს აძლევთ ხალხს, ახალგაზრდებს?

არ გინდათ ეს „ზეხერი" თავის მართლება. გინდაც გქონოდათ რაიმე დაგეგმილი, ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების გამო უნდა გადაგედოთ. დამერწმუნეთ, მომლოდინე მაყურებელი აუცილებლად გაგიგებდათ და ამ ნაბიჯს გაამართლებდა.

გინდაც არ გქონოდათ ინფორმაცია, უნდა გაგხარებოდათ და თავად უნდა გეჩალიჩათ მაგ კონცერტში მონაწილეობის მიღება.

მით უმეტეს დღეს, როცა აშკარად ჩანს ერის წინააღმდეგ აგრესიული, ფაშისტური ლიბერალიზმის ფორსირებული შეტევა.

ჰოდა, ამის მერე რის ვარსკვლავები ან მოღვაწეები ხართ და რაღაზე გაქვთ პრეტენზია? სახელი, რომლითაც დარჩებით, უკვე დაგერქვათ. აწი ილვაწეთ თუ შეძლებთ.

ქალბატონმა **თამარ ჭოხონელიძემ,** რომელმაც ამ კონცერტში მონაწილეობის მიღებაზე თავიდანვე უარი განაცხადა, გადაცემა „რეაქციაში" ამ თემაზე ასეთი განცხადება გააკეთა:

**„ჩემი აზრით, ეს არ არის რელიგიური კუთხით, ეს უფრო საპატრიარქოს პოლიტიკაა და ეს ყველაფერი დამტკიცდა 2013 წელს, როდესაც რუსთაველის გამზირზე ხალხი შეიკრიბა ჰომოფობიასთან ბრძოლისთვის და ისინი ამბობდნენ, რომ ეს ყველაფერი ცუდია, მახსოვს, რომ საპატრიარქო განზე არ იდგა. მე, როგორც მოქალაქე, რატომ ვარ ვალდებული, რომ ეკლესიის პოლიტიკას ბრმად გავყვე?**

**სხვათაშორის, პატრიარქს ძალიან კარგად ვიცნობ, მე მას ძალიან ვუყვარვარ და მე ის ძალიან მიყვარს. როდესაც მე დავინახე დაპირისპირება და ამის საშიშროება, დამაბრალეს ისეთი უნამუსობა და საერთოდ, ქართველმა ხალხმა გამოავლინა ის საშინელი სიბნელე, რომელსაც კი ველოდებოდი, მაგრამ მთლად ასეთს არა. ჩვენ ვყოფილვართ ის ხალხი, რომელსაც ერთ წამში შეგვიძლია გადავთელოთ ერთმანეთი, რაც გაგვიკეთებია, არაფერი აღარ არსებობს. ასე გვეზიზღებოდეს ერთმანეთი? ხალხო, რა დაგემართათ? ასეთი ზიზღით როგორ დადიხართ ამ ქვეყანაზე? მე ვარ გაოგნებული. მინდა, გთხოვოთ, გემუდაროთ და როგორც ქალმა ჩემი პოზიცია დაგიფიქსიროთ, რომ დაპირისპირების შიშის გამო გავაკეთე ეს ყველაფერი, ასე როგორ გამიმეტეთ ან მე, ან ნატო მეტონიძე, ან ნინო ქათამაძე, ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია საქართველოსთვის? არ გრცხვენიათ ამხელა ზიზღის გამოვლენა?"**

იქვე განაცხადა, რომ „არ ვარგა დაპირისპირება ადამიანებთან მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა სექსუალური ორიენტაცია აქვთ. მე ეს დავინახე 17 მაისს ოჯახის დღის დაწესებით. ისე, პატრიარქის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

ეს არ არის ქრისტიანული! ღმერთს არ უთქვამს, რომ უნდა დავსაჯო ასეთი ადამიანებიო".

რა სისულელეს ამბობთ, ქალბატონო თამარ!

უკაცრავად, მაგრამ სოდომი და გომორი მე გადავწვი?

სწორედ პატრიარქმა დააწესა 17 მაისი, როგორც ოჯახის სიწმინდის დღე და თქვენი ლოგიკით, პატრიარქი აღვივებს დაპირისპირებას?

დაბოლოს — „თუ შევამჩნიე, რომ ჩემს შვილიშვილებს ვინმე უტარებს ასეთი გარყვნილების და უზნეობის პროპაგანდას, ნამდვილად შევაკვდებიო!"

უკაცრავად, მაგრამ, თუ დაპირისპირება არ გინდათ, რანაირად შეაკვდებით?

მოკლედ რომ ვთქვა, ძალიან დაიბნა ქალბატონი თამარი. ძალიან დაიბნა და ამაში ნამდვილად ვერ დავეხმარები.

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ ჩემს ფეისბუქპოსტს, საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მოხდა ისე, რომ რამდენიმე საყვარელ ადამიანს ჩემი ხისტი პოზიციით გული დავწყვიტე. ამ რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთმა გაზეთმაც წაილო (ძალიან კარგი), მაგრამ „სკანდალური სათაური" გაუკეთა — „გია გაბრიჭიძე ქართველ მომღერლებს უპირისპირდება".

ეგეც არაფერი (გაზეთს სტატიის სათაური ყიდის), მაგრამ აუცილებლად მინდა, აღვნიშნო, რომ მე ქართველ მომღერლებს კი არ „ვუპირისპირდები", არამედ იმათ, ვისაც პატრიარქი კეთილი მოხუცი ჰგონიათ, მასთან ფოტოების გადაღება — წარმატება, საპატრიარქოს მნიშვნელობა არ იციან, ვითომდა „დაპირისპირებაზე" თავის არიდების მიზნით, უარს ამბობენ კონცერტში მონაწილეობის მიღებაზე და პატრიარქს რაღაც მოთხოვნებს უყენებენ.

დაპირისპირება დიდი ხანია, არის და საკმაოდ მწვავე ფაზაშია შესული. ცხადია, „ტაბურეტკებს" არ ვითხოვ (თუ საჭირო გახდება, პირველი მე დავიკავებ), მაგრამ ყალბი ტოლერანტობის „მომიზეზება", რბილად რომ ვთქვა, ძალიან მიზანშეუწონლად მიმაჩნია. ასევე მიზანშეუწონლად მიმაჩნია იმით აპელირება, რომ 17 მაისს ოჯახის სიწმინდის დღედ გამოცხადება ხელოვნურია და სწორედაც დაპირისპირებას უწყობს ხელს (ესეც საკმაოდ ვრცელი თემაა).

ისიც ცხადია, რომ ორგანიზატორებმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს თავიანთი „აღტაცებული" ქმედებით და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ეკლესიის მაღალი იერარქები ბოლომდე საქმის კურსში არ იქნებოდნენ, განსაკუთრებით პატრიარქი.

არ ვცხოვრობ ეკლესიურად, საკმაოდ ბევრი ცოდვა მაქვს და, ფაქტობრივად, ყოველდღე ვუმატებ, მაგრამ ერთი კი ვიცი — იმ არსებების მიმართ, რომლებიც ყოვლად უკუღმართი ცხოვრების წესის დანერგვას და ამ წესის ჩვეულებრივ მოვლენად აღქმას გვაიძულებენ, დაუძინებელი მტერი ვიქნები.

წერილი კი ერთი ანეკდოტით მინდა დავამთავრო:

ბრიტანელი ლორდი ქუჩიდან შემოსულმა ხმაურმა შეაწუხა და მსახურს დაუძახა:

**— რა ხმაურია ქუჩაში, ბერიმორ?**

**— გეი-აღლუმია სერ.**

**— და რას ითხოვენ, ბერიმორ?**

**— ერთნაირსქესიანთა სიყვარულს, სერ!**

**— და მერედა ვინ უშლის?**

**— არავინ, სერ!**

**— აბა რატომღა ხმაურობენ ბერიმორ?**

**— პიდარასტები არიან და იმიტომ, სერ!"**

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ „ᲩᲕᲔᲜᲛᲐ" ᲒᲔᲔᲑᲛᲐ ᲙᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ 17 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲐᲦᲚᲣᲛᲡ ᲐᲠ ᲩᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲑᲗᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲒᲐᲗ ᲙᲐᲪᲘ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲔᲜᲓᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲓᲐᲠᲐᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.



**ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ**

## 17 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲰᲝᲛᲝᲤᲝᲑᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲑᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔᲐ

ᲚᲒᲑᲢ თემი 17 მაისს ღონისძიების გამართვას არ გეგმავს. მათი თქმით, ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღე პოლიტიკურმა და რელიგიურმა ექსტრემისტულმა ჯგუფებმა მიისაკუთრეს და ლგბტ ადამიანებისთვის ქუჩაში უსაფრთხო სივრცე აღარ დატოვეს. 17 მაისს სამების ეზოში ოჯახის სიწმინდის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება.

# მერიაში საბავშვო ბაღებზე, ახალ მეტროსადგურებზე და ქალაქის გამწვანებაზე იმსჯელეს



## ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაცია იწყება

**ჭავჭავაძის გამზირის სრული რეაბილიტაცია მიმდინარე თვის ბოლოს დაიწყება, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

როგორც მან აღნიშნა, საგზაო სამუშაოები ეტაპობრივად განხორციელდება და გამზირიც ნაწილობრივ ჩაიკეტება, რომ მოსახლეობას და საზოგადოებრივ ტრანსპორტს გადაადგილებისას პრობლემა არ შეექმნას.

მისივე თქმით, პირველ რიგში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსიდან „პიქსელის" შენობამდე მონაკვეთი ჩაიკეტება, რომელიც ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია. მიწისქვეშა კომუნიკაციების პარალელურად, თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური კონტრაქტორ კომპანიასთან ერთად, გამზირის მოწესრიგების სამუშაოებს განახორციელებს.

**„კომპანია „ჯორჯიან უოეთერ ენდ ფაუერს" ჩამოყვანილი ჰყავს გერმანელი ექსპერტები, რომლებიც პროექტის მიმდინარეობას ზედამხედველობას გაუწევენ. პარალელურად, ჩვენი საქალაქო სამსახური კონტრაქტორთან ერთად, გამზირის მთლიანად მოწესრიგებას დაიწყებს. ეს არის საფეხმავლო ბილიკების მოწყობა, გარე განათების ქსელის შეცვლა, LED განათებების დამონტაჟება, ელექტროგადამცემი ხაზების მიწისქვეშ განთავსება, გამწვანების სამუშაოების ჩატარება. განახლებული, ყველანაირად მოწესრიგებული გამზირი გვექნება, რომელზეც შესაბამისი საავტობუსო ზოლები განთავსდება, რომ საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა ყველაზე სწრაფად იმოძრაოს",** — აღნიშნა კახა კალაძემ.

ამასთან, თბილისის მერის თქმით, ჭავჭავაძის გამზირის სრული რეაბილიტაციის დროს, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ავტომანქანების გადაადგილების შესახებ მოსახლეობას სრული ინფორმაცია ექნება.

## კომპანია „ნილს", მერიამ შესაძლოა, ხელშეკრულება შეუწყვიტოს

კომპანიას, რომელიც თბილისის ბაგა-ბაღებს კვების პროდუქტებით ამარაგებს, დედაქალაქის მერიამ შესაძლოა, ხელშეკრულება შეუწყვიტოს. კომპანია „ნილის" შესახებ დედაქალაქის მერის მოადგილემ ილია ელოშვილმა გააკეთა კომენტარი:

**„ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რის გამო ვერ განახორციელებს კომპანია „ნილი" თავის მოვალეობას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია რომ მან ბაღებში საკ-**



**ვები პროდუქტის მიწოდება შეუფერხებლად განახორციელოს. რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, რომ „ნილმა" ვერ შეძლო თავისი ვალდებულებების შესრულება რამდენიმე თვის განმავლობაში. ჩვენ ძალიან ყურადღებით ვაკვირდებით და თუ უახლოეს დღეებში არ იქნება სრულად გამოსწორებული „ნილის" მიერ აღნიშნული პრობლემა, ჩვენ მივიღებთ შესაბამის ზომებს, რაც გულისხმობს კომპანიის ჩანაცვლებას",** — განაცხადა ელოშვილმა.

## მიწისზედა მეტროს ხაზის პროექტს ავსტრიული კომპანია მოამზადებს

სამგორი-ლილოსა და სამგორი-რუსთავის მიწისზედა მეტროს ხაზის პროექტირებაზე თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ გამოცხადებული კონკურსი დასრულდა, — განაცხადა კახა კალაძემ.

როგორც მან აღნიშნა, კონკურსში ავსტრიულმა კომპანია ILF Consulting Engineers-მა გაიმარჯვა.

მისივე თქმით, კვლევის შედეგად, გამოიკვეთება, რამდენად არის შესაძლებელი რუსთავთან დამაკავშირებელი მიწისზედა მეტროს პროექტის განხორციელება.

**„საკონკურსო პროექტის ბიუჯეტი 12 762 530 ლარია და ის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 თვეში უნდა დასრულდეს. შემდეგ, როდესაც სრული დოკუმენტაცია გვექნება, მშენებლობის დაწყებაზე ტენდერს გამოვაცხადებთ",** — განაცხადა თბილისის მერმა.

## თბილისის მერია მეტროს 40 ახალ ვაგონს შეისყიდის

როგორც დედაქალაქის მერმა კახი კალაძემ აღნიშნა, მეტროს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება დედაქალაქის მოქმედი მთავრობისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, რადგანაც მხოლოდ2018-2019 წლებში, ამ მიმართულებით გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტი 100 მილიონ ლარზე მეტია.

**„სატრანსპორტო პოლიტიკაზე საუბრის დროს არ შემიძლია, არ შევეხო მეტროში არსებულ მდგომარეობას. მეტროს ვაგონების რეაბილიტაციის მიზნით, 100 მილიონ ლარს დავხარჯავთ. განახლდება ძალოვანი კაბელი, სასიგნალიზაციო და სავენტილაციო სისტემები. პროექტის ფარგლებში, ჩვენ რვა ახალი შემადგენლობა გვყავს დამატებული და სექტემბრისთვის კიდევ ოთხი შემადგენლობა დაემატება, თუმცა „მეტროპოლიტენში" დღეს 1975 წელს წარმოებული, დაახლოებით, 52 ვაგონი მოძრაობს, რომლებსაც ექსპლუატაციის ვადა რამდენიმე წელიწადში გაუვა და მოდერნიზებას აღარ დაექვემდებარება. აქედან გამომდინარე, ჩვენ დროულად უნდა ვიზრუნოთ ახალი ვაგონების შესყიდ-**




**ვაზე. ვაფორმებთ ხელშეკრულებას საერთაშორისო გამოცდილების მქონე ავსტრიულ კომპანიასთან, რომელმაც თავისი კრიტერიუმებით, ტექნიკური წინადადებები უნდა მოგვიმზადოს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ახალი ვაგონების შესყიდვა. მხედველობაში მაქვს ევროპული, მაღალი სტანდარტის მქონე მეტროს ვაგონების შესყიდვა.ამ თემაზე პირადად მქონდა საუბარი პრემიერ-მინისტრთან და თბილისის მუნიციპალიტეტს ცენტრალური ხელისუფლებისგან სრული მხარდაჭერა აქვს. შესაბამისად, 2020-2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტი ჯამში, 40 ახალ ვაგონს შეისყიდის"**, — აღნიშნა კახა კალაძემ.

ამასთან, მთავრობის სხდომაზე, თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ დედაქალაქის მეტროსადგურების სრული რეაბილიტაციის გეგმაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სადგურების რეაბილიტაციის დაწყებამდე, სტანდარტით გათვალისწინებული ყველა საჭირო კვლევა ჩატარდება.

## თბილისში დაავადებული ხეების წინააღმდეგ ბრძოლა ახალი მიდგომით იწყება

დედაქალაქის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ფიჭვების დაავადებისა და მავნებლების აღმოსაფხვრელად ბრძოლას განაგრძობს, რაც ხე-მცენარეების წამლობას და ფიტო-სანიტარიულ ჭრას გულისხმობს.

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, ქალაქში არსებული ფიჭვების 90% უმძიმეს მდგომარეობაშია.

**„ჩვენდა სამწუხაროდ, ის დაავადება, რომელიც ამ ფიჭვებს აქვთ, გადამდებია. ეს სერიოზული პრობლემაა და მგონია, რომ მხოლოდ თბილისს არ ეხება, რადგან სხვადასხვა რეგიონშიც გვაქვს ანალოგიური პრობლემა",** — განაცხადა კახა კალაძემ და გამხმარი, დაავადებული ფიჭვების ფოტოებიც წარმოადგინა.

თბილისის მერმა განმარტა, რომ დაავადებულ მცენარეს გარეგნულად არაფერი ეტყობა, თუმცა ქერქის შიგნით პარაზიტების თვალსაზრისით, უმძიმესი მდგომარეობაა.

დედაქალაქში ფიტო-სანიტარიული ჭრების პროცესის მიმდინარეობის შესახებ სრული ინფორმაცია საზოგადოებას მერის მოადგილე მაია ბითაძემ მიაწოდა.

**„ეს დაავადება 1990-იანი წლებიდან გავრცელდა, თუმცა სამწუხაროდ, არასწორი პრეპარატების გამოყენება და შეწამვლა ხდებოდა, ტარდებოდა სოკოს საწინააღმდეგო ღონისძიებები, რაც აბსოლუტურად არაეფექტური იყო. ეს დადასტურდა იმ კვლევებით, რომელიც ჩვენმა ესპანელმა პარტნიორებმა გაგვიკეთეს. შესაბამისად, მთლიანად ვცვლით დამოკიდებულებას. მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის უპრეცედენტო შესყიდვას ვიწყებთ უახლოეს დღეებში, რომელიც მომავალი სამი წლის განმავლობაში, ფიტო-სანიტარიული ღონისძიებების თვალსაზრისით, სრულიად ახლებურ მეთოდებს დაამკვიდრებს. მთელი თბილისის ურბანული გარემო ფიჭვების კუთხით უკვე დაყოფილია რამდენიმე უბნად. ყველაზე მთავარია, რომ ადგილებზე განვათავსოთ ფერომონები და დაავადება ვმართოთ. არსებული დაავადებული ხეები მთლიანად ამოღებული იქნება გარემოდან, თუმცა ჩვენი მთავარი მიზანია, რომ დაავადების გავრცელების მარშრუტი დავადგინოთ, რისი რესურსიც სამწუხაროდ, არათუ თბილისს, ქვეყანას არ აქვს. შემოგვაქვს მკურნალობის ახალი საშუალებები — ინექციები, რომელიც საქართველოში ჯერ არ გამოყენებულა. ვფიქრობ, რომ ის სამწლიანი შესყიდვის ღონისძიებები, რომელსაც ჩვენ განვახორციელებთ, ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრის ამ პრობლემას არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელ საქართველოში. ძალიან აქტიურად მიმდინარეობს ჭრები, ასევე, დარგვის ღონისძიებები",** — განაცხადა მაია ბითაძემ.

# ზუგდიდის ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიების რეგიტრატორების ბეჭდები მთლიანად შეიცვლება

**ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადეს, რომ ზუგდიდში საოლქო საარჩევნო კომისიის მხრიდან კანონის მოთხოვნების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, თუმცა ეჭვისა და ინტერპრეტაციების გამოსარიცხად, ცენტრალური საარჩევნო კომისია ზუგდიდის ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიების რეგისტრატორების ბეჭდებს მთლიანად შეცვლის:**

„გუშინ, ზუგდიდის ოლქში გაურკვევლობა გამოიწვია საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის საარჩევნო ინვენტარისა და დოკუმენტაციის — კერძოდ, სამაგიდო სიების, საუბნო საარჩევნო კომისიისა და რეგისტრატორების ბეჭდების გადაცემის პროცესმა. გაკეთდა განცხადებები, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის მოთხოვნების დარღვევას, რაც არანაირად არ შეესაბამება სიმართლეს. ცალსახად გვინდა განვაცხადოთ, რომ არანაირ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია. კანონის შესაბამისად, სიების საბოლოო ვერსიის (მათ შორის სამაგიდო ვერსიის) გადაცემა უნდა მოხდეს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მეორე დღისა (ანუ, ამ შემთხვევაში ამ დოკუმენტაციის გადაცემა 17 მაისამდე უნდა მოხდეს). ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის გადაცემული საუბნო საარჩევნო კომისიების ბეჭდებიც და რეგისტრატორების ბეჭდებიც დალუქულია კანონის შესაბამისად და მათი გახსნა მოხდება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ დროს და მათი რამე სახით წინასწარ გამოყენება შეუძლებელია. მნიშვნელოვანია, რომ ინვენტარისა და დოკუმენტაციის გადაცემა ასეთ სახეს ატარებს ყოველი არჩევნების დროს და აბსოლუტურად კანონიერი პრაქტიკაა არა მხოლოდ ზუგდიდში, არამედ სხვა საარჩევნო ოლქებშიც. ამის მიუხედავად, რამდენადაც ეს საკითხი გახდა სპეკულაციის საგანი და ადგილი ჰქონდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას, თითქოს საარჩევნო ოლქის მიერ უბნების სათანადო ინვენტარითა და დოკუმენტაციით აღჭურვა იყო კანონდარღვევა და საფრთხეს უქმნიდა არჩევნებს, ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება სამაგიდო სიების და ბეჭდების უკან — საოლქო კომისიაში დაბრუნებისა და მათი მოგვიანებით — ბიულეტენებთან ერთად გადაცემის შესახებ. ამასთან დამატებით ყოველგვარი ეჭვებისა და ინტერპრეტაციების გამოსარიცხად, ცენტრალური საარჩევნო კომისია ზუგდიდის ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიების რეგიტრატორების ბეჭდებს მთლიანად შეცვლის." — განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე ცესკო-ს პრესსპიკერმა ანა მიქელაძემ.



# ნუთუ უნიჭიერეს მეგრელებს ჰოლანდიელი აგენტი-მეხრე მოენატრათ?!.

**...საჭიროა, შეიქმნას არეულობისა და დაპირისპირების მწვავე კერები, უკმაყოფილო ადამიანების აზროვნებაზე გავლენის მოხდენა, სიტუაციის დაძაბვა, ერთი პროვოკაცია და ერთი ღერი ასანთის გაკვრა საკმარისი იქნება, ქართლის 145 სოფელთან და ერთი „ფიშტოს“ გაუსროლელად განწირულ დალის ხეობასთან ერთად, სამეგრელოც გადაულოცონ რუსეთს... მერე კი, ზუგდიდიდან დაიწყება საქართველოს „გათავისუფლება“. ამასობაში მიშაც ღრუბლ-ღრუბლ შემოფრინდება, ხელახლა დაამხობენ დედაუნივერსიტეტს, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“, კარებს შეულეწენ დედაეკლესიას, ცეცხლს მისცემენ დედაენას, ლაფში ამოსვრიან სახელოვან, მხცოვან ადამიანებს და ნახანძრალზე ჭინკებთან და ბაცილებთან ერთად როკვას გამართავენ?!**

(პირველი გვერდიდან)

კალამი სწორედ თქვენდამი დიდმა პატივისცემამ ამაღებინა ხელში... თქვენ ჩემგან არაფერი გესწავლებათ, არც გონიერება გაკლიათ, არც პატიოსნება, არც წინდახედულობა და განჭვრეტის უტყუარი ალღო. საამისოდ სიბრძნეც თავზესაყრელად გაგაჩნიათ და გამოცდილებაც; მაგრამ, როდესაც ეკრანზე ვუყურებ, თუ როგორ დააბიჯებს ცხვრის ტყავში გახვეული მგელი ზუგდიდის ბულვარზე, ურცხვი გამომეტყველებით, სავსე შურისძიებითა და სიძულვილით, ქალი, რომელიც არაერთხელ დამუქრებია ღია ეთერში მთელი საქართველოს ყურადსაღებად მისთვის არასასურველ ქართველებს, არ შემეძლო, მდუმარედ ვყოფილიყავი და ხმა არ მომეწვდინა თქვენთვის!.. მე, პირადად, მიკერძოებულს არაფერს ვიტყვი ამ დედოფალყოფილზე. ის თავად გიამბობთ ყველაფერს თავისი საქმიანობის, მიზნების და ჭამაში მოსული მადის შესახებ თავის „ლინკ“-ის მიერ 2005 წელს გამოცემულ წიგნში – „იდეალისტის ჩანაწერები“.

**2005 წელს ის უკვე პირველი ლედის ტიტულით იყო შემოსილი და, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, „დედოფლის“ გადმოსახედიდან თუ ოდესმე ფეხი დაუცურდებოდა და თავისი დიდებით გათავხედებულს, ესოდენ ღიად და შეგნებულად გაყალბებული ისტორიების გამო თავის მართლება მოუწევდა და შემდგომ, ყველაფერს გრამატიკულ შეცდომებს გადააბრალებდა.**

გრამატიკულ შეცდომებს კიდევ გაუძლებდა ადამიანი, რომ აქ შეგნებულად მისი საქმიანობისთვის, იდეოლოგიური ფონის შექმნასთან ერთად, კეთილშობილური ფორმით შეფუთვასთან არ გვქონდეს საქმე...

მივყვეთ წიგნის შინაარსს...

ქალბატონი სანდრა 24 წლის ასაკში, უკვე ოცდაოთხიათას გზა-შარა გამოვლილი, 1992 წლის ზაფხულში მოსკოვიდან, აფხაზეთის გზით, თავის ორ ნაცნობ მამაკაცთან და ერთ რუს თარჯიმან გოგონასთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა, ერთი ქუთაისელი პარტნიორი მამაკაცის მოპატიჟებით, რომლის სახელსაც ერთი-ორჯერ კი ახსენებს, მაგრამ გვარს ცოცხალი თავით არ გვიმხელს!!! და მასპინძლის ოჯახში, თავის თანმხლებ პირებთან ერთად, პირდაპირ გაშლილ სუფრაზე ამოყო თავი. ჭამა-სმის დიდად მოყვარულს, კარტოფილსა და ერბოკვერცხზე გაზრდილს, ქუთაისური პურმარილის გემო და ლაზათი ფრიად ეამა, თუმცა უმალ კრიტიკულად განეწყო. არ მოეწონა, რომ ზედა სართული მთლიანად სტუმრებს დაუთმეს (უმადური!), არც სტუმარი მამაკაცებისთვის განკუთვნილი საწოლები მოეწონა, თურმე „მუცლები“ იატაკამდე ჰქონდათ ჩამოწელილი. დაბზარულმა ჭერმა და კედლებზე დაკიდებულმა წინაპართა სურათებმა დისკომფორტი შეუქმნა, მაგრამ მალევე შეეგუა; დროებით პლაცდარმად და ფეხის მოსაკიდებლად აქაურობას მაინც არა უშავდა. საგულისხმოა, რომ საქართველოში მხოლოდ ბუნება და ჩვენი სამზარეულო მოეწონა. იმდენად მოეწონა, რომ უმალ საქართველოს დედოფლობა მოუნდა (აიხდინა კიდეც!)... **მერე კი ერთი რომ აკრიფა თხრობის ქედმაღლური ტონი, უკან არ მოუხედავს, სულ თავდაყირა დააყენა ჩვენი ისტორია, კულტურა, ტრადიციები, ფასეულობები.**

90-იანი წლების ნატყვიარი, სისხლმდინარი საქართველოს ნაცრისფერი სურათების აღწერისას, მუდმივი სამოქალაქო ომი, უშუქობა, შიმშილი და უბედურება გვიწინასწარმეტყველა. მერე კი დასძინა, რომ ჩვენ, უბედურ ქართველებს, შურით გული გაგვისკდება მისი ჰოლანდიური ოჯახის ბედნიერების, სიმდიდრისა და უდარდელი ცხოვრების გამო.

**ზემოჩამოთვლილი მუქარაც, ზეწოლაც, დასმენის ინსტიტუტის დაკანონებაც და სასტიკი სცენებიც, სანდრას დირექტივების მიხედვით, ნაცბანდამ ფრიად დახვეწა, უფრო სასტიკ ფორმებში წარმოაჩინა და ყველაფერი ჩვენ მოგვკერძა. მერე, როგორც გაირკვა, თავად შურიანი და თვალხარბი სანდრა, თავისთვის იგულვებდა საქართველოს, თან თავის დამქირავებლებს უმზადებდა მონაცემთა ბაზას ჩვენი ქვეყნის მიმართ სტრატეგიის შესამუშავებლად იგი საკმაოდ გაწვრთნილ-ნავარჯიშები აღმოჩნდა იმისთვის, რომ თეთრი ძაფით არ ეკერა თავისი ჩანაფიქრი და მიზანი, ხანდახან თითო-ოროლა ფრაზასაც გამოიმეტებს ჩვენს საამებლად – იცის, ეს საჭიროა თვითდამკვიდრებისთვის, მაგრამ არ იცის, რომ ჩვენში ბრმების „შკოლა“ დიდი ხანია დაიხურა.**

ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანს ამ წიგნში გადმოცემული ფაქტებისა და მოვლენების შეფასება; თან ვცდილობ, არ გავცდე წიგნის ჩარჩოს და არ დავწვრილმანდე ჩვენი, ქართველების, მიმართ უკადრებელი ისტორიების შეფასებისას. მე მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან განსჯისთვის...

ნუ იტყვით და ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდა თურმე სამხედრო დაჯგუფება, რომელსაც ტერორსა და ძარცვაში ჰქონდა ხელი გასვრილი. აკი, გრამატიკული შეცდომააო?! თურმე ძველი ქართული წარწერები VI საუკუნით თარიღდება და არა V საუკუნით (ბეთლემის და ბოლნისის სიონის წარწერები); რომ საქართველოს მოსახლეობის 70%-ია მართლმადიდებელი და არა – 80% პროცენტი, თურმე უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 1988 წელს აღსაყდრებულა და არა – 1977 წელს. წყალში ჩაუყარა 10 წლის ღვაწლი; რომ სომხები ოდითგანვე ავლაბარში ცხოვრობდნენ, თუმცა, ოდითგანვე არც დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენო, რომ ქართველებს ფორტეპიანო ავეჯისგან ვერ გაგვირჩევია, რადგან იგი გვერდიგვერდ იყიდება ერთ მაღაზიაში; სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმება მიშას მოუთხოვია და არა ჩვენს ძვირფას პატრიარქს და ა.შ.

ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, ავტორის ჩანაფიქრისა და მიზნის ჭეშმარიტ არსს სტრიქონსა და სტრიქონს შუა ამოიკითხავს. როგორ ამპარტავნულად და ჩვენთვის ღირსების შემლახველად გადმოჰყურებს ყველას და ყველაფერს ზემოდან. თავად „წარჩინებულს და წარმატებულს“, თავი მზის და ვარდების ღირსად მიაჩნია, უკვე „ჩემს საქართველოს“ უწოდებს, თუმცა ამ საქართველოს მკვიდრი უამრავი ქართველისთვის აქ ადგილს ვერ ხედავს. აღარც ქართველი სტუდენტობა ეპიტნავება დიდად და ზოგჯერ ხალხს ჯოგად მოიხსენიებს.

ჰოლანდიელებს, ეტყობათ, მართლა ძალუმი მადა აქვთ, ქალბატონი სანდრა ამ წიგნში არაერთხელ მიუბრუნდება ჭამა-სმის საიდუმლოებებს. ერთგან სულაც სამი გვერდი აქვს დათმობილი ამ თემას. ახლა მას ყველაფერი აქვს: ფული, მდგომარეობა, კომფორტი, ფუფუნება, ძღვენი, განუწყვეტლივ „მოდიოდა ღვინო, კონიაკი, შამპანური, ხილი, ქათამი, ინდაური, გოჭი“... ამ დროს, თურმე ჭიათურაში მოხუცები ხმელ პურსა და დამპალ ვაშლს ჭამენ (დიდი ბოდიში), მაგრამ ლუკმა ყელში არ ეჩხირება, ქართველებს უკვე მკაცრად უყურის თვალს თვალში... მოკლედ, ეს საშუალო ფენის, არაფრით გამორჩეული ოჯახიდან გამოსული ჰოლანდიელი აგენტი, უკვე ტრაბახსა და კეკლუცობაზე გადადის და თავის დიდ „საერთაშორისო დონის“ სტატუსზე გველაპარაკება და რეკომენდაციასაც გვაძლევს ქართველებს და ჭკუასაც გვასწავლის „ჩვენ“-ის სახელით: თუ გვინდა, სიდუხჭირეს თავი დავაღწიოთ, კუჭის ამოვსების სანაცვლოდ ისევ მონები უნდა გავხდეთ და მკაცრ რეჟიმს (ე.ი. რუსეთს) დავუბრუნდეთ! ან კიდევ, ერთი გადამთიელი ელჩის პირით ნათქვამი სიტყვის მიხედვით, ბოლო შანსს გვაძლევს და ალტერნატივის წინაშე გვაყენებს: **თუ ავირჩევთ დემოკრატიას, უარი უნდა ვთქვათ ჩვენს მენტალობაზე, კულტურაზე, ტრადიციაზე, ფასეულობებზე და თუ ვიცეკვებთ ათასი ჯურის გრანტიჭამია ენჯეოშნიკების დაკრულზე, ხომ კარგი, თუ არადა, ვაი ჩვენი ბრალი!..**

დღეს ეს ქალბატონი ხან ზუგდიდის ბულვარში, ხანაც ანაკლიის სანაპიროზე დადის და გულდათუთქული მოთქვამს: მინდა, ხალხს მოვეფერო, მაგრამ არ უნდათო (სისხლიანი აქვს ხელები), გამწარებული ითხოვს ხმებს, რომ ისევ მოიკიდოს ფეხი სამეგრელოში, მეგრულიც ამ მიზნით აქვს ნასწავლი. ისმის კითხვა, რატომ მაინცდამაინც სამეგრელოში?.. ამ კითხვაზე პასუხი ხელის გულზე დევს, მაგრამ მე მაინც გავიმეორებ: სამეგრელო ხომ აწ უკვე წართმეულ აფხაზეთს ესაზღვრება და მისაერთებლად, მარტივად მოსახერხებელია და კიდევ ერთი მსუყე ლუკმაა რუსეთისთვის (შამილიც რუსების ტერიტორიებით გაუმაძღრობაზე ჩიოდა). დღეს არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ რუსული სპეცსამსახურები სამეგრელოში მიზანმიმართულად მუშაობენ საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად. ამისთვის უხვად ფინანსდება ბუკლეტები, გაზეთები. მათ შორის, ერთ-ერთი მათგანი „საქართველო და მსოფლიო“ გახლავთ. ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნაცბანდას, ევროპულსა თუ ბრენდს, მის ბელადს მიშას და რუსეთიდან „წითელი ჯვრის“ მანდატით შემოსახლებულ სანდრას, ყველას თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებით ამნეზია სჭირთ და „ჩემი შენ გითხარიო“-ს პრინციპით მოქმედებენ და პრორუსულობაზე ხელს სხვებისკენ იშვერენ. როცა ჩვენ ლევ ტოლსტოის კითხვა გვეკრძალებოდა, რუსული სიმღერების მოსმენა ტაბუდადებული იყო, სოვდაგარ-სააკა (ტერმინი რობიკო სტურუას ეკუთვნის) რუსეთთან ვაჭრობით იყო დაკავებული და ეკონომიკური ბერკეტები ჩაბარებული ჰქონდა.



ახლა კი საჭიროა, შეიქმნას არეულობისა და დაპირისპირების მწვავე კერები, უკმაყოფილო ადამიანების აზროვნებაზე გავლენის მოხდენა, სიტუაციის დაძაბვა, ერთი პროვოკაცია და ერთი ღერი ასანთის გაკვრა საკმარისი იქნება, ქართლის 145 სოფელთან და ერთი „ფიშტოს“ გაუსროლელად განწირულ დალის ხეობასთან ერთად, სამეგრელოც გადაულოცონ რუსეთს... მერე კი, ზუგდიდიდან დაიწყება საქართველოს „გათავისუფლება“. ამასობაში მიშაც ღრუბლ-ღრუბლ შემოფრინდება, ხელახლა დაამხობენ დედაუნივერსიტეტს, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“, კარებს შეულეწენ დედაეკლესიას, ცეცხლს მისცემენ დედაენას, ლაფში ამოსვრიან სახელოვან, მხცოვან ადამიანებს და ნახანძრალზე ჭინკებთან და ბაცილებთან ერთად, როკვას გამართავენ?!

მაგრამ ვაი, რომ სანდრას მეთოდები დაუძველდა!.. სამეგრელო საქართველოს სტრატეგიული ციხე-ბურჯია!.. ეს საკითხი სიძე-ცოლისძმამ – მეგრელმა ქუჯიმ და ქართლელმა ფარნავაზმა, ქრისტეს დაბადებამდე, დიდი ხნით ადრე გადაწყვიტეს, როცა ერთიანი საქართველოს სიმტკიცესა და ურყეობაზე ბჭობდნენ. დღეს გონიერი მეგრელი კაცები და ქალბატონები ძველებურად აღარ იქნებიან მიამიტად მიმნდობნი სტუმრის (აწ უკვე მომხდურის) მიმართ. მათ უამრავი საზრუნავი და საფიქრალი აქვთ. დანარჩენ საქართველოსთან ერთად, მათაც დუხჭირი ცხოვრება აქვთ, მაგრამ ამის გამო ღისრებაზე უარს არ იტყვიან და აღარ გაუღებენ მოძალადე ნაცმოძრაობის ბელადებსა და მათ ხროვას გულის კარს და საბოლოოდ უარს ეტყვიან მათ. ამით კი ხელისუფლებასაც დააფიქრებენ და აიძულებენ, კეთილი ინებონ და ყური დაუგდონ საქართველოს მოსახლეობის გულის ხმას, თორემ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებიც კარსაა მომდგარი...



სამეგრელოს დღეს დიდი მამულიშვილური მისია აკისრია, მეგრელებმა ზუგდიდი უნდა იხსნან საყოველთაო სირცხვილისგან, ხმა არ უნდა მისცენ ნაცხროვის კანდიდატს სანდრა რულოვსს!.

**ნინო ხორავა**

# სანდრა რულოვსის



**ნაციონალების მხარდამჭერებო, წაიკითხეთ ეს სტატია და გადაარჩინეთ სული! გადაარჩინეთ ოჯახები! გადაარჩინეთ სამშობლო!**



(პირველი გვერდიდან)

მოკლედ, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ პუნქტში აშშ-ს რომ არ ეთანხმებოდა, ყველას კარგად და მწარედ გვახსოვს.

მისი მმართველობის პირველივე წლებში ცხადი გახდა, რომ საქართველოს ასეთი აღვირახსნილი ხელისუფალი არასდროს ჰყოლია. დიდსა და პატარას პირზე ეკერა პრეზიდენტისა და მისი უახლოესი გარემოცვის ორგიები შინ თუ გარეთ, თბილისში, ბათუმში, სიღნაღსა თუ შატილში. ასევე, უცხოეთში პოლიტიკური ვიზიტების დროს. პრეზიდენტი ვერტმფრენით უვლიდა ხოლმე საქართველოს და გუნება-განწყობის მიხედვით ეშვებოდა მის ამა თუ იმ წერტილში საქეიფოდ და სალაღობოდ. დიდი ამბავი იყო ატეხილი ერთ პატარა ქალაქში იმის გამო, რომ მთვრალმა პრეზიდენტმა იქაური მოხელის ცოლს დაადგა თვალი და ქალი გადამალეს. მაგრამ პრეზიდენტი არ ცხრებოდა თურმე და ოჯახური თათბირის შედეგად ბოლოს მაინც აუსრულეს საწადელი, რათა ქმარს სამსახური არ დაეკარგა(!). ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, როგორ ლაზღანდარობდნენ ამის თაობაზე იქაური ბავშვები, როგორ შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს იქაური ხანდაზმულები.

სხვაგან მავანი მიმტანი ქალი მოუვიდა თვალში და... წინ რა დაუდგებოდა. ერთხელ საქართველოს მთაში რომ ზეიმობდა, შვეულმფრენით ჩაჰგვარეს იმდროინდელი გულის რჩეული, რადგან ბრძანა, სასწრაფოდ აქ გამიჩინეთო. ხედავდნენ, როგორ შედიოდა პრეზიდენტის სასახლის ეზოში უნომრო მიკროავტობუსი, საიდანაც, როგორც საქმეში ჩახედულები ამბობდნენ, ქუჩიდან აკრეფილი „სექს-მუშაკები“ გადმოდიოდნენ მარტო მყოფი პრეზიდენტის განტვირთვისათვის. როგორც ამბობდნენ, ქალბატონებისთვის პრეზიდენტის სასახლის როგორც სასტარტო ადგილის გავლა იყო საჭირო მაღალ თანამდებობაზე მოსახვედრად... მერე კი მათ კეთილად გათხოვებაზე ზრუნავდნენ შესაბამისი მოხელეები. კი, ის ყვებოდა ამას, ვისაც თვითონ მოუწია მსგავსი დავალების შესრულება. მოკლედ, ინგლისურად მორატრატე, ნეოლიბერალი სულთნის კარზე ჰარამხანა იფურჩქნებოდა.

და აი, ასე, პირველი ლედი თავის სახლში მარტო ატარებდა ცხოვრებას შვილებთან ერთად. პრეზიდენტი კი — სასახლეში ბორგავდა, იქ იფრქვეოდა მისი და მისი უახლოესი გარემოცვის ჰედონისტურ-ბიოლოგიური აღტყინებები. იქ იყო იგი ბოლოს თავის მომღერალ სატრფოსთან და სხვა პარტნიორებთან ერთად.

ეს ხდებოდა ღიად, აშკარად. ეს იყო მ. სააკაშვილის ხელისუფლების სტილი, „მისი გუნდის“ პრივილეგია, რაღაც სისტემური მოვლენა, ამოსაცნობი ნიშანი. იცინოდნენ ამის თაობაზე უცხოეთში, პოლიტიკურ წრეებში, დიპლომატიურ კორპუსში.

საქართველოს ბედი ეს აღმოჩნდა, რომ მისი ღირსება ამ მხრივაც უნდა გაქელილიყო. ისედაც დამცრობილ ქვეყნის თავმოყვარეობიდან არაფერი აღარ უნდა დარჩენილიყო. მ. სააკაშვილის უსაშველო ბიოლოგიური დაუკმაყოფილებლობა შერწყმული მის სისასტიკესთან ადამიანთა მიმართ — იწვევდა ნერონისა და კალიგულას ასოციაციას, რადგან ესენი დარჩნენ მსგავსი პათოლოგიის კლასიკურ მაგალითებად დასავლეთის ისტორიულ სივრცეში.

უფრო დამცირებული, უფრო თავმოყვარეობაშელახული პირველი ლედი დემოკრატიული დასავლეთის ისტორიას არა სცნობია.

და ხალხი ამას განიცდიდა. მიუხედავად პრეზიდენტისადმი თითქმის საყოველთაო ზიზღისა და სიძულვილისა, მისი მეუღლე ბევრს ებრალებოდა. ქალბატონ სანდრა რულოვსის ახლო წრე ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მას ჰოლანდიაში წასვლა სურდა, მაგრამ ეშინოდა. „რომ წავიდეს, მიშა მოკლავსო“ — მიმტკიცებდა ერთი მისი კეთილისმოსურნე, მეტისმეტად დამამცირებელი მდგომარეობის რაიმენაირად შესარბილებლად. მართლაც, რომელი ქალი არ გაიგებს ამ ხვედრის აუტანელ სიმწარეს?

და, ცხადია, მას ისე უნდა დაეჭირა თავი, თითქოს ქმრის ეს უკიდურესად წრეგადასული ცხოვრება, უბრალოდ, არ არსებობდა. და ასეც იჭერდა. მართალია, ეს ისე კარგად ვერ გამოსდიოდა, როგორც ყოჩაღ ჰილარი კლინტონს, როდესაც მისი მეუღლის, პრეზიდენტ ბილ კლინტონის ერთადერთ მორალურ გადაცდომას ისე ფანატიკურად ჩაეძია ამერიკული სასამართლო, რომ ელემენტარულ ნაწილაკებამდე ჩააღწია და მთელი მსოფლიო უხერხულობის შოკში ჩააგდო. ჰილარი კლინტონი კი მთელი ის ხანი მეუღლესთან ხელჩაკიდებული და ამაყად თავაწეული ჩნდებოდა, აქაოდა, ჩვენს მტკიცე ოჯახს მსგავსი პროვოკაციები ბზარს ვერ დაამჩნევსო.

და საკუთარი ძალების რამდენად უფრო დიდი დაძაბვა სჭირდებოდა სანდრა რულოვსს! ეს ხომ უწყვეტი სირცხვილი იყო მთელი ცხრა წლის მანძილზე. და ის დაძაბული ეგუებოდა: ქმრის მიერ მისი როგორც ქალის ლამის მძვინვარე უარყოფას. თუმცა, სახეზე სულ უფრო უძლიერდებოდა ჩაკლული სიხარულისა და დაფარული გამწარების კვალი. ეს ცოლების ნება ან ბედისწერაა: ზოგი ქმრისაგან ყველაფერს იტანს „ოჯახის შესანარჩუნებლად“, ზოგს პრივილეგიების დათმობას ურჩევნია, სამუდამოდ უარი თქვას ღირსებაზე. ზოგს სხვა გზა არა აქვს და იძულებულია გულში ჩაიკლას ყველაფერი და ქმარს ბოლომდე დაემორჩილოს. და ყველა გადაწყვეტილებით ბედისწერა იქსოვება.

**მაგრამ, საქართველოს ყოფილი პირველი ლედი, სანდრა რულოვსი ზუსტად ასევე უდრტვინველად ეგუებოდა ცოლების დაქვრივებას, ბავშვების დაობლებას, დედების გაუბედურებას, ცამდე ასულ მოთქმასა და ვაებას, ადამიანთა მეთოდურ წამებასა და პატივის აყრას ციხეებში, სადაც ის ხშირად ჩნდებოდა ხოლმე. ის ეგუებოდა ანთებული სიგარეტით სხეულის დაწვას, ძვალ-სახსართა მსხვრევას, პირში**

**უფრო დამცირებული, უფრო თავმოყვარეობაშელახული პირველი ლედი დემოკრატიული დასავლეთის ისტორიას არა სცნობია.**

**და ხალხი ამას განიცდიდა. მიუხედავად პრეზიდენტისადმი თითქმის საყოველთაო ზიზღისა და სიძულვილისა, მისი მეუღლე ბევრს ებრალებოდა. ქალბატონ სანდრა რულოვსის ახლო წრე ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მას ჰოლანდიაში წასვლა სურდა, მაგრამ ეშინოდა. „რომ წავიდეს, მიშა მოკლავსო“ — მიმტკიცებდა ერთი მისი კეთილისმოსურნე, მეტისმეტად დამამცირებელი მდგომარეობის რაიმენაირად შესარბილებლად. მართლაც, რომელი ქალი არ გაიგებს ამ ხვედრის აუტანელ სიმწარეს?**

**ჩაფურთხებას, ზედ დაშარდვას, ადამიანთა მასობრივ დარბევასა და შემუსვრას... დედისერთა სანდრო გირგვლიანის თოვლზე დაგდებულ, დასერილ სხეულს, მისი დედის ირინა ენუქიძის გულისგანმგმირავ გლოვას, პოლიციის მიერ დაცხრილული უდანაშაულო ახალგაზრდების მიწაზე მოცახცახე სხეულებს, მათი დედებისა და მამების სამუდამოდ განგმირულ გულებსა და უილაჯობას...**

მაგრამ არა მხოლოდ ეგუებოდა... ის, აი, ასეთი ქმრის ერთგული იყო მის შავბნელ საქმეებში: იგი იტყუებოდა შინ და გარეთ, თავის სამშობლოში და, საერთოდ, უცხოეთში ყოფნისას, რომ მიშათი უკმაყოფილო მხოლოდ ის კრიმინალური წრეები იყვნენ, ვინც მიშამ სამართლიანად დასაჯა დიადი რეფორმების გატარებისას, ვინც, კაცმა რომ თქვას, ბალასტი გახლდათ აყვავების გზაზე შემდგარი სახელმწიფოსათვის... რომ საჭირო იყო ქართველი ხალხისათვის კისრის მოგრეხა, რადგან სხვაგვარად მისგან არაფერი გამოდნებოდა და, მაშასადამე, „მიშა“ სწორედ ის იყო, ვინც ამ ხალხს სჭირდებოდა“ და ა.შ.

და განა მხოლოდ შიშის გამო გააკეთებს ადამიანი ამას? არა. ქალი, ვისთვისაც სხვისი შვილების დახოცვა-დამცირება საშინელებაა, შეიძლება შიშით გაჩუმდეს, მაგრამ ასე არ იაქტიურებს ადამიანობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებათა გამართლებაში.

მაშასადამე, უკვე მაშინ, სანდრა რულოვსის პირველ ლედად ყოფნის სანუკვარ პერიოდში, სულ სხვა იმპულსსაც უნდა ემოქმედა, გარდა სტატუსის შენარჩუნების წყურვილისა: ქვეცნობიერად სანდრა შურს იძიებდა ხალხზე, რომლის თვალშიც ის ესოდენ შეურაცხყოფილი და დამცირებული იყო, ვისაც ის ან ეცოდებოდა, ან არაფრად აღარ აგდებდა. და იგი შურს იძიებდა თავისი მოღალატე ქმრის ხელით. და... ამავე დროს ქმრის გულის მოგებასაც ცდილობდა.

და, აბა ვის გაუკვირდება ეს მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგიამ ესოდენ გამოწვლილვით იკვლია ადამიანის სულის ფარული სართულები, ხოლო ჩვენმა ხალხურმა ინტუიციამ ჯერ კიდევ როდის გამოთქვა ლექსად, რომ ადამიანის გული ისეთია, „ვით მორევი შავი ზღვისა...“

**ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ აბა, ვილას მოუვიდოდა თავში, სანდრასთვის მოეთხოვა, მისი ქმრის მიერ დახოცილი ახალგაზრდების დედებთან მისულიყო სამძიმრის სათქმელად! მით უფრო, ვილა აჩუქებდა ვეფხისა და მოყმის ბალადას.**

* * *

მაგრამ 2012 წელს მოულოდნელად ყველაფერი დამთავრდა: „აჰა, განქარდა ესე სამეფოც, მიმოქროლებას გაჰყვა ქართასა“... როგორც გვეუბნება ცნობილი ქართველი პოეტი ქალის ლექსი... გადაიხვეწა საქართველოდან ხალხის უდიდესი, ყველაზე საღი ნაწილის მიერ შეძულებული, უბნელეს საქმეებში გახვეული, დამარცხებული ცოლ-ქმარი, შვილებიანად, რომელთა ბედიც ნაკლებად ანაღვლებდათ, ისევე როგორც ნაკლებად ანაღვლებს ყველას, ვინც ჩადენილ ბოროტებას უტოვებს მათ მემკვიდრეობად.

მაგრამ, როგორც ამბობენ, მიხეილ სააკაშვილი გაჭირვებაში არ მიატოვეს მის მიერ მომადლიერებულმა დასავლეთის პოლიტიკურმა ძერებმა და იგი თანამშრომლებთან ერთად უკრაინაში დაამკვიდრეს, სადაც თავისუფალი სიყვარულის განუკურნებელ ტრფიალს, ისევე არ დასჭირდა მეუღლე, როგორც თბილისში არ სჭირდებოდა.

**და აი, შვიდი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ მან იხმო მისგან შეურაცხყოფილი და დამცირებული დედა თავისი შვილებისა. და მიუშვირა მას თვისი ამღვრეული თვალები ჩასახედად. და მონუსხული სანდრა მორჩილად გამოემგზავრა საქართველოში შვილთან ერთად და ბრმად შთავარდა არჩევნების მარათონში. რისი იმედით? მხოლოდ და მხოლოდ იმის იმედით, რომ ხალხი ბრბოა და, სანდრასი არ იყოს, სხვების ტანჯვა-წამებას არაფრად აგდებს; პირიქით: უხარია კიდეც, რადგან გამწარება და ბოღმა უთუხთუხებს გულში! ან რომ ხალხს მეხსიერების ჩაბნელებები სჭირს და თანამოქალაქეთა გაპარტახება უკვე დავიწყებული აქვს; რომ ხალხი გამოსულელებულია და საკმარისია, უცხოელი რძალი თავის ენაზე დაელაპარაკოს და, სიმღერაც კი უმღეროს, — მეტი არც არაფერი სჭირდება: აღტაცებისაგან აკივლდება და ვნებისაგან ატორტმანდება.**

# მგლები ცხვრის ტყავში

და ის, სამწუხაროდ, შორს არ არის ჭეშმარიტებისაგან. სანდრა რულოვსი თავის საარჩევნო კამპანიას ადამიანთა ყველაზე ბნელ სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე აგებს.

და მიცურავს სანდრა გედივით ბრბოში. მისი მოჩვენებითად სათნო ღიმილი დაგუბებულ შხამს, დიახ, მუხანათობას ჩამოფარებია: ვენდეტა! და დაანახვებს მის უარმყოფელ ქვეყანას, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ავზნიან მეუღლეს, თავის ძალას სანდრა-დამცირებული! დაანახვებს რომ ხალხს იგი მოენატრა, განსაკუთრებით სამეგრელოში. მეგრელებსა და სანდრას ერთნაირად სჭირდებათ მიყენებული ჭრილობების მოშუშება, და ისინი ერთმანეთს ათბობენ. ოღონდ, სანდრას, სინამდვილეში, თავისი თავის გათბობაც კი აღარ შეუძლია...

მე არა მჯერა, რომ სანდრა რულოვსი ციხეში მოკლული ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდა, როგორც ამას მრავალი პატიმარი ამტკიცებს.

მე არ ვიცი, მართლა სპეცსამსახურების კაბინეტებში დაიწერა თუ არა სანდრა რულოვსისა და მიხეილ სააკაშვილის ცხოვრების სცენარი, როგორც ამ საქმეებთან უფრო ახლოს მყოფი ადამიანები გვამცნობენ.

არც ის ვიცი, მართლა იმისთვის ისწრაფვის დეპუტატის იმუნიტეტის მოსაპოვებლად, რომ გაექცეს შესაძლო სასჯელს

**ნუ დაივიწყებთ, რომ არცერთ „ნაცს“ სინანულის ჩრდილიც არ დასტყობია სახეზე ამდენი ჩახოცილი და დასახიჩრებული ადამიანის გამო. რომელ ბოდიშზე და პატიების თხოვნაზეა ლაპარაკი!**

**და სანდრამ გადალახა უსირცხვილობის რუბიკონი და განიზრახა მოქცევაი ქართლისაი: რათა იგი კვლავ დაუბრუნოს „ეშმაკთა“ სამეფოს.**

ნილი იყო მთელი პირველი სართული. ხოლო მეორე და მესამე სართულები – „რუსული კულტურის ცენტრს“ უნდა დაეკავებინა. და აქ მთავარი ის არის, რომ „კავკასიური სახლის“ გაუქმებას და მის ნაცვლად „რუსული მუზეუმის“ შექმნას მისი დაარსების დღიდან – 1994 წლიდან, არაოფიციალურად თუ ღიად, დაჟინებით ითხოვდა რუსეთი, განსაკუთრებით, მეორე რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შემდეგ, როდესაც „სახლმა“ ჩეჩენი ლტოლვილები შეიფარა. საერთოდ, ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ „კავკასიური სახლი“ რუსეთისაგან რეპრესირებული ორგანიზაცია იყო თავისი მისწრაფებების გამო, მიეღწია შიდა კავკასიური სოლიდარობისა და თანხმობისათვის. და ნეოლიბერალიზმისა და „ევროპული ფასეულობების“ განსახიერება ბატონი რურუა ქალბატონ სანდრასთან ერთად უმჭიდროეს კავშირს ამყარებს თბი-

რაც შეეხება ბრბოს: დიახ, ბრბოა ის ხალხი, ვინც ცხრა წლის მანძილზე ნაწამები თუ ჩახოცილი სხვისი შვილების, სხვისი მამების, სხვისი ძმებისა და სხვისი ქმრების გვამებზე გადააბიჯა და თავისი ბნელი ინსტინქტებით ისევ მიშა-სანდრასკენ გაიქცა;

**ვინც ვერ და არ გაიგო, რა მოხდა საქართველოში 2004-დან 2012 წლამდე; ვისაც არ ანაღვლებს, საქართველოს სხეული პრეზიდენტ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის წყალობით დაჭრილ-დასახიჩრებული და სისხლმდინარე რომ გდია: რადგან გული ამოაგლიჯეს და კიდურები ჩამოაჭრეს...**

ვინც წესიერად ვერ ერკვევა, მაინც რა დაკარგა საქართველომ; მაინც რა არის და სად არის ეს ქართლია თუ კოდორი...

ვისაც არ სტანჯავს ზნეობის უკიდურესი დაცემა საკუთარ ქვეყანაში, ვინც ვერ

**რა საზომითაც შენ ზომავ, იმავე საზომით გაიზომები განგების მიერ და უნდა გეშინოდეს, როცა სხვისი შვილების უბედურებას ამართლებ (ხოლო წინა პრეზიდენტის დედა თურმე ლათინოამერიკულ ცეკვებზე დადის გულის გადასაყოლებლად. და არც სხვა „ნაცების“ დედები იქცევიან ადეკვატურად, რაც ბუნებრივია, ვიღაცამ ხომ შობა და გაზარდა ისინი).**

და აგზნებული ბრბო ღრიალით მოირწევა და მოჰყავს თავისი დედოფალი– იერიშზე გადმოსული სანდრა-დამცირებული.

მე კი იმან უფრო დამაწერინა ეს წერილი, რომ უსირცხვილობის ზუსტ სიმბოლოებს ვეძებდი.

სამწუხაროდ, ხშირად მიწევს გამეორება, რომ სირცხვილის დაკარგვა ეს ადამიანის დაცემის უკანასკნელი საფეხურია, უფრო მეტიც: ეს არის „დაცემა იმაზე ქვემოთ, ვიდრე შესაძლებელია დაეცეს კაცი“, ერთ პოეტს თუ დავესესხები. მკვლელსაც ეშველება, ქურდსაც და მეძავსაც, თუ სირცხვილის გრძნობა გამქრალი არა აქვს, სხვას რას გვიჩვენებს სახარების უძირო სიბრძნე და გულმოწყალება! მაგრამ ურცხვი ადამიანის წინაშე, ალბათ, ღმერთიც უძლურია.

ერთი თანამედროვე ქრისტიანი მოღვაწე აფრთხილებს ადამიანებს:

# „აღდგენითი სამუშაოები“

თავისი ბიზნეს-დანაშაულებისათვის, თუ არა.

**მე ის ვიცი, რასაც ვხედავდი და ვხედავ და ეს ერთი ქალისათვის საკმარისზე მეტია – სამყაროში მოთარეშე ბოროტების გასამდიდრებლად.**

მე ვხედავ, როგორ ატყუებს და ასულელებს ჩემს ხალხს, როგორ უმტკიცებს, რომ თურმე ყორნის გასათეთრებლად მისი ქვიშით ხეხვაც კი არ არის საჭირო, უბრალო საპნიანი წყალიც საკმარისია, ხოლო კუზიანს სამარის გარეშეც უსწორდება კუზი. ვხედავ, როგორ აბრუნებს უკან გაჭირვებულ ხალხს მასობრივ აღვირახსნილობასა და სისასტიკეში; როგორ რყვნის მას, როცა საუკუნის დანაშაულს – სანდრო გირგვლიანის ულმერთო წამებასა და სამსხვერპლო ცხოველივით დაკვლას თუ ღირსებით სავსე სამხედრო პირის კოლექტიურ გაუპატიურებას, როცა მთელი ციხე მსხვერპლის ღრიალით ზანზარებდა, – ნაზი ღიმილით „შეცდომებს“ უწოდებს, შეცდომებს, რომლებიც მას თურმე არ ეხება!

და კიდევ ერთი რამ ვნახე, რაც უშუალოდ შემეხო: 2010 წელს ჩვენი საზოგადოება შეძრა „ნაციონალური ხელისუფლების“ კიდევ ერთმა ექსცესმა, რომელსაც ყოფილი მხედრიონელი და ქილერი, ბატონი ნიკოლოზ რურუა მეთაურობდა (არ დაგავიწყდეთ თანამოქალაქენო, რომ სწორედ ეს სისხლიანხელებიანი კაცი იყო ნაციონალების კულტურის მინისტრი!), ჰოდა, ამ კაცმა პრეზიდენტს მიაღებინა გადაწყვეტილება მთელს კავკასიაში ცნობილი, უძველესი სამშვიდობო ორგანიზაციის, კულტურისა და განათლების ცენტრის „კავკასიური სახლის“ გამოძევების შესახებ იმ შენობიდან, რომელიც მისთვის ააშენა ევროპულმა ფონდმა „ჰორიზონტმა“. ამ ფონდის რეზიდენცია ნიდერლანდებშია, მას იქაური ადამიანები მართავენ, და მათ სწორედ „კავკასიურ სახლში“ გაიცნეს თავიანთი თანამემამულე სანდრა რულოვსი, რომელიც აქ, როგორც ჩვენი ერთ-ერთი მეგობარი, ხშირად დაიარებოდა. და ყველანი სიყვარულით ვიღებდით მას. ის კი, სათნოღიმილიანი და მეგობრული, ჩვენთან სტუმრად რომ დადიოდა და წვეულებებზე თავის თანამემამულეებსაც ხვდებოდა, თურმე ჩვენს შენობას სათავისოდ ათვალიერებდა. და აი, დადგა დღეც ოცნების ასრულებისა. 2010 წელი. კუდ-ი და სოდ-ი გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ მთელი მომსახურე პერსონალი ქუჩაში უნდა გავეყარეთ, „კავკასიური სახლისთვის“ მთელი უძრავი ქონება წაერთმიათ და მის სანაცვლოდ დაარსებული რუსული ცენტრისთვის გადაეცათ... თანამშრომლების ბინებში უკვე ჩხრეკა დაიწყო ტერორის მიზნით... სანდრა რულოვსის რომელიღაც ფონდისათვის განკუთვ-

ლისში ოფიციალურად მოქმედ მეხუთე კოლონასთან და მასთან ერთად აუქმებს „კავკასიურ სახლს“! მხოლოდ ჩვენი და დასავლური საზოგადოების მძაფრმა პროტესტმა იხსნა ორგანიზაცია დაღუპვისაგან და პრეზიდენტმა სააკაშვილმა მისი აღსრულება შეაჩერა. და მადლობა დღევანდელ ხელისუფლებას, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, იურიდიულად დაგვიმტკიცა ჩვენთვის აშენებული შენობა და დასავლელი მეგობრების თხუთმეტწლიან გაოგნებას და ჩვენს ტანჯვას წერტილი დაუსვა.

ასე რომ, საკუთარ კანზე გამოვცადეთ, რა შეიძლება იდგეს სანდრას მომხიბლავი ღიმილისა და ქალური მანერების უკან. და თუ რატომ სჭირდებოდა თავისი ფონდის რუსული კულტურის ცენტრთან (ასეთი „ცენტრები“ სინამდვილეში, სულ ცოტა, საagenტოებია) თანაარსებობა, ეშმაკმა უწყის.

და მაინც გამიჭირდება თქმა, რომ ის თავის მეუღლესთან თუ მეგობარ ნ. რურუასთან ერთად ორმაგი აგენტია, თუ სამმაგი, არ ვიცი. ეს ქსელები არ მესმის. რასაც მე თვითონ ვხედავ, ისიც საკმარისია...

და მიცურავს სანდრას ტკბილი ღიმილი და მოღუღუნე ხმა აღტყინებულ ბრბოს თავზე და მიცურავს სანდრა ბრბოს ტალღებზე თავისი გაურკვეველი მომავლისაკენ. ნუთუ მართლა ჰგონია, რომ ამ ნაკადმა ის შეიძლება ნანატრ მიკროსოდომში – პრეზიდენტის გიგანტურ სასახლეში შეაცუროს?

**მაშ რა ამოძრავებს, რატომ გაირთულა კიდევ უფრო ცხოვრება და გადაიდო მშვიდი მომავალი? რატომ დაუპირისპირდა ასე ჯიქურ საქართველოს? რატომ წამოიკიდა ტვირთი, რომელიც იმ საფქვავზე უფრო მძიმეა, ჯაყოს მიერ მოტყუებულ, პატივაყრილ და გასრესილ მარგოს რომ წამოუკიდია ზურგზე და წისქვილის გზას მიუყვება? შვილებს კიდევ უფრო რატომ უმძიმებს საკუთარი მამის წყალობით ისედაც დამძიმებულ ხვედრს?**

მხოლოდ კაცის კი არა, ქალის გულიც შავი ზღვის მორევსა ჰგავს, და თუ რაღაც სპეციერარქიის მიერ მიღებულ დავალებას გამოვრიცხავთ, რომელსაც ცოლიც და ქმარიც ერთნაირად ემორჩილებიან, მაშინ ეს ვერსია რჩება: ალბათ მიუღწეველი მეუღლის მიერ დაკისრებული საბრძოლო დავალების შესრულებით სანდრა იმედოვნებს მისი გული მოიგოს, მისი კეთილგანწყობა დაიმსახუროს და, ვინ იცის, დაიბრუნოს კიდეც...

ეს სანდრას ამოკის რბოლაა, ის ვეღარ გაჩერდება... მან – ახლა უკვე ბრბოს დედოფალმა – ძალიან სევდიანი ფურცლები თავისი წარსულიდან ისევ მომავალში გადაიტანა...

დაინახა, რომ ამ გადაგვარებას უძლიერესი სტიმული მ. სააკაშვილის პირადმა ცხოვრებამ, ახალგაზრდობის მიმართ მისმა ამორალურმა მოწოდებებმა, ნაციონალური მოძრაობის მიერ წესიერების ყველა ნორმის გაქელვამ მისცა;

ეს მარადიული ბრბო!

ის შეჰბღაოდა აღტყინებით ფაშიზმსა და ბოლშევიზმს! მილიონობით ადამიანთა გაცამტვერებას! ის არის დასაყრდენი თანამედროვე სახელმწიფოებრივი ტერორისა და რეპრესიებისა, რადგან არ გააჩნია სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი და მოთხოვნილება! არ გააჩნია ფსიქიკური სისაღე და შინაგანი მთლიანობა! გამქრალი ან მოჩლუნგებული აქვს თანაგრძნობა და თანატანჯვა!

დიახ, ბრბოა, გინდაც მეგრელი იყოს, გინდაც ქართლელი, გინდაც კახელი..

**ბრბოა ის, ვინც ახლა ისევ ბოროტმოქმედებს აძლევს ხმას არჩევნებში, რის გასამართლებლადაც ახლანდელი ხელისუფლებისადმი სიძულვილი ვერ გამოდგება. ამ ხელისუფლების კრიტიკა დაუსრულებლად შეიძლება (რისი უფლებაც ყველასა აქვს „ნაცებისა“ და მათი მომხრეების გარდა), მაგრამ ეს ხელისუფლება ხალხის სისხლში ამოსვრილი არ არის და ადამიანებზე არ ნადირობს. პირიქით: ამ ყველაფერს სწორედ მან დაუსვა წერტილი, მაშინ როცა მავანმა მწერლებმა, მხატვრებმა თუ ჟურნალისტებმა აღარ იცოდნენ, როგორ მიტმასნოდნენ ნახევრადშეშლილ მიკროდიქტატორს.**

**თუმცა, აირჩიე, ვინც გინდა, მაგრამ ქვეყნის ჩამოყალიბებულ მტერს, უმძიმეს ცოდვებში ჩაფლულ ძალას ნუ მისცემ ხმას. ლახვარს ნუ ჩასცემ შენი ქვეყნის მომავალს!**

**და ბრბოა ისიც, ვინც არ იცის, რომ**

„ძალიან მოერიდეთ იმათ, ვისაც საკუთარი დანაშაულისა და შეცდომის შეგრძნება არა აქვს; ვინც არასოდეს იხდის ბოდიშს.“ სწორედ ასეთ ძალებს, რომლებიც ყველაზე მეტად ისწრაფვიან ძალაუფლებისაკენ, უწოდა დოსტოევსკიმ „ეშმაკნი“ და მან ძალიან კარგად იცოდა, რასაც გულისხმობდა.

**ნუ დაივიწყებთ, რომ არცერთ „ნაცს“ სინანულის ჩრდილიც არ დასტყობია სახეზე ამდენი ჩახოცილი და დასახიჩრებული ადამიანის გამო. რომელ ბოდიშზე და პატიების თხოვნაზეა ლაპარაკი!**

**და სანდრამ გადალახა უსირცხვილობის რუბიკონი და განიზრახა მოქცევაი ქართლისაი: რათა იგი კვლავ დაუბრუნოს „ეშმაკთა“ სამეფოს.**

და უსირცხვილობის წარუშლელ სიმბოლოდ დარჩება საქართველოს ისტორიას ცოლ-ქმარი სანდრა და მიშა, როგორც დარჩა ქართულ ლიტერატურას მუცელღმერთობისა და უსაქმურობის სიმბოლოდ ლუარსაბი და დარეჯანი; ძალადობისა და მუხანათობის სიმბოლოდ – ჯაყო, უპასუხისმგებლობისა და უთავმოყვარეობის სიმბოლოდ – თეიმურაზ ხევისთავი, და უკიდურესად დამცირებული ქალის სიმბოლოდ – ორივეს ცოლი და მსხვერპლი მარგო. ხოლო „მიშამ“ ეს სამივე კაცი შეიერთა, ქვეყანა ცოდვითა და სისხლით აავსო და ისევე დაკარგა ქართლის ნაწილი, როგორც თეიმურაზ ხევისთავმა თავისი მამულები.

და ჩვენ, როგორც არ უნდა დავიღალოთ, მაინც მუდამ უნდა ვებრძოლოთ ემოციურ ატროფიასა და ამნეზიას, როგორც მერაბ მამარდაშვილი იტყოდა: „ზნეობრივ დალტონიზმს“ ჩვენში, რათა უნებურად გვამებს არ გადავაბიჯოთ და იქ არ აღმოვჩნდეთ, სადაც „ეშმაკები“ სუნთქავენ.

## P. S.

**ეს წერილი** უკვე დაწერილი მქონდა, როცა ვიხილე ზუგდიდის მერობის კანდიდატი ქ-ნ სანდრა სააკაშვილ-რულოვსის შეხვედრა თავის ბრბოსთან.

და გამახსენდა, როგორ მითხრა ერთხელ მისმა ყოფილმა ახლობელმა: „სიტყვებზე „ცხვრის ტყავში გახვეული მგელი“ მუდამ სანდრა რულოვსი მიდგება თვალწინო“ (ამის დაწერაზე ზემოთ მაინც თავი შევიკავე, მაგრამ ახლა...).



და კიდევ ეს გამახსენდა: „...და ვიხილე დედაკაცი, მჯდარი ღვთისსაგმობი სახელებით სავსე შვიდთავიან და ათრქიან შავწითელ მხეცზე... და დავინახე, რომ დამთვრალი იყო წმიდათა... სისხლით, და რომ ვუყურებდი, მიკვირდა დიდად“ (გამოცხადება იოანესი).

**ნაირა გელაშვილი.**

# კეთილდღეობის კუნძული შუა აზიაში

**ცენტრალური აზიის უდიდესი სახელმწიფო ყაზახეთი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება**



**აზიაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ტრადიციულად, მყისიერად არ მიიღება, ამ პროცესს აუჩქარებლობა და დიდი სიფრთხილე ახასიათებს. ასეთი პოლიტიკური ტრადიცია ხშირად ამუხრუჭებს ამა თუ იმ სახელმწიფოს განვითარების ტემპებს და პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობას აზიანებს. მაგრამ ყაზახეთი იქცა სწრაფი დემოკრატიული გადაწყვეტილებების მაგალითად, თანაც ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ძირეულ საკითხში — ხელისუფლების საკითხში.**

საქმე ის გახლავთ, რომ ამა წლის მარტში ყაზახეთის პირველმა პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა დატოვა თანამდებობა თავისი თითქმის 30-წლიანი მმართველობის შემდეგ. მან ეს გააკეთა ნებაყოფლობით, არ დაელოდა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვას. არადა, 2015 წლის არჩევნებზე ნაზარბაევმა ამომრჩეველთა ხმების 98% დააგროვა. მარტის თვეში მისი გადადგომის შემდეგ, უკვე აპრილში გამოცხადდა ახალი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი — 9 ივნისი. ამრიგად, დაირღვა შუა აზიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკა, როდესაც მოქმედი ხელმძღვანელის მიერ ხელისუფლების დათმობა ნებაყოფლობით არასოდეს ხდებოდა.

ნაზარბაევი თავის შემდეგ კარგ მემკვიდრეობას ტოვებს. ქვეყანამ, სადაც 100-ზე მეტი ეთნოსი და ეთნიკური ჯგუფები სახლობენ, მშვიდობა და ეროვნებათშორისი თანხმობა შეინარჩუნა. სამწუხაროდ, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, პრაქტიკულად, ყველა შუააზიურ რესპუბლიკაში წარმოიშვებოდა შეიარაღებული ეთნიკური კონფლიქტები. მხოლოდ ყაზახეთმა შეძლო, თავიდან აერიდებინა მოვლენათა ამგვარი განვითარება.

ეროვნებათშორისი მშვიდობის შენარჩუნებამ საშუალება მისცა რესპუბლიკას, რომელიც ნავთობის და სხვა ბუნებრივი რესურსების დიდძალ რეზერვებს ფლობს, მოკლე ვადებში მიეღწია ეკონომიკური სტაბილიზაციის, მომდევნო ეტაპზე კი ეკონომიკის შესამჩნევი აღმავლობისათვის. არადა, 90-იანი წლების დასაწყისში ყაზახეთის ეკონომიკაც ნანგრევებად იყო ქცეული. მეზობელი რესპუბლიკების მაგალითი, სადაც სისხლიანი შეჯახებები დროდადრო პრეზიდენტებისა და მთავრობების ცვლილებას, ასევე ქაოსსა და ეკონომიკურ დაქვეითებას იწვევდა, ყაზახეთში გათვალისწინებულ იქნა. ყაზახეთის პირველმა პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა თავისი პოლიტიკის მთავარ პრინციპად აქცია ფორმულა: „ჯერ ეკონომიკა, შემდეგ — პოლიტიკა“.

**საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ნაზარბაევის მმართველობის მეთოდები ხშირად ხდებოდა კრიტიკის ობიექტი დასავლეთის ქვეყნებში. ზოგიერთი პოლიტიკოსი ნაზარბაევს დიქტატორობისკენ მიდრეკილებაშიც ადანაშაულებდა, ასევე ბრალს სდებდა მას დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისთვის ნაკლებ ხელშეწყობაში, ამბობდნენ, რომ პრეზიდენტის უფლება-მოსილებები ზედმეტად გაზრდილია და ასე შემდეგ. მაგრამ დრომ აჩვენა პრეზიდენტის მიერ აღებული კურსის დასაბუთებულობა და სისწორე. დღევანდელი ყაზახეთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთაგან ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელმაც თავისი პოლიტიკის სწორ გეზზე დაყენება შეძლო. ნაზარბაევი, რომელიც თავისი ხალხის სისხლი და ხორცია, აზროვნებდა და მოქმედებდა ისე, როგორც ეს არა მხოლოდ სახელმწიფოს შემქმნელი ერის — ყაზახების, არამედ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ეთნოსის ინტერესებში იყო.**

ნურსულთან ნაზარბაევმაააწყო მყარი, ეფექტური სახელისუფლებო ვერტიკალი, რომელმაც ყაზახეთის ხალხი ეკონომიკური რყევებიდან და პოლიტიკური ქარიშხლებიდან გამოიყვანა. პირველ რიგში, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილობის და, მეორე რიგში — ბუნებრივი რესურსების წყალობით, ყაზახეთმა მიიზიდა ინვესტიციების ისეთი მოცულობა, როგორიც ვერ მოიზიდეს სხვა შუააზიურმა ქვეყნებმა, ერთად აღებულმა.

ყაზახეთის რესპუბლიკამ დაისახა ზეამბიციური ამოცანა — მსოფლიოს 30 განვითარებული ქვეყნის რიგში შესვლა და დაჩქარებული ტემპით დაიწყო კიდეც მისი რეალიზება — შესამჩნევი წარმატებით.

**და აი ამ გარდამტეხ მომენტში სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი ნებაყოფლობით ამბობს უარს თავის უფლება-მოსილებებზე... რატომ? რა მიზეზით? — იკითხავს ბევრი.**

უდავოა, ნაზარბაევის ეს ნაბიჯი საზოგადოებამ გარკვეული სიფრთხილით მიიღო. განსაკუთრებული დისკომფორტი განიცადა მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელიც ეროვნული უმცირესობების რიცხვს განეკუთვნება. „რა მომავალი გვექნება?“, „როგორი ცვლილებები გველის წინ?“ — ეს და მსგავსი კითხვები იქცა ქვეყანაში, მის სოციალურ ქსელებში, მეინსტრიმად. დაძაბულობის ატმოსფერო იგრძნობოდა ადამიანების ცხოვრების ყველა სფეროში, ნაზარბაევის გადადგომის პირველ დღეებში. მაგრამ ხელისუფლებამ საკმაოდ სწრაფად განსაზღვრა თავისი ქმედებების შემდგომი მდინარება.

ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, ნაზარბაევის გადადგომის შემდეგ, სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციების აღსრულება გადავიდა პარლამენტის სენატის (ზედა პალატის) თავმჯდომარეზე, კასიმ-ჟომარტ ტოკაევზე — ნაზარბაევის ერთ-ერთ ყველაზე დაახლოებულ თანამებრძოლზე, რომელიც მასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში. მოვლენათა ასეთი განვითარება, დამკვირვებლების მიერ შეფასდა, როგორც ყაზახეთის სწრაფვა მემკვიდრეობითობისა და სტაბილობისათვის.

**მოსახლეობისგან მხარდაჭერის მისაღებად და სახელმწიფოს მეთაურის საქესთან თავისი ლეგიტიმურობის განსამტკიცებლად, ტოკაევმა, ისევ და ისევ კონსტიტუციაზე დაყრდნობით, სპეციალურ მიმართვაში გამოაცხადა რიგგარეშე არჩევნების თარიღი — ამა წლის 9 ივნისი. თავის მიმართვაში სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა ხალხს გარანტია მისცა, რომ „არჩევნები ჩაივლის ღიად და პატიოსნად“.**

დღესდღეობით ყაზახეთში მიმდინარეობს საპრეზიდენტო კანდიდატების დასახელება. კანონმდებლობის თანახმად გათვალისწინებულ ვადებში საკუთარი კანდიდატურა 8 ადამიანმა წარმოადგინა, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებიდან და მოძრაობებიდან არიან დასახელებულნი, მათ შორის, რა თქმა უნდა, ოპოზიციურიდან. ყველა კანდიდატი დაბადებიდან ფლობს ყაზახეთის მოქალაქეობას, შეესაბამება ყაზახეთში ცხოვრების აუცილებლობის მოთხოვნას ბოლო 15 წლის მანძილზე, ყოველ მათგანს აქვს უმაღლესი განათლება, არ გააჩნია ნასამართლეობა, ისინი არ იყვნენ სასამართლოს მიერ ცნობილნი კორუფციულ დანაშაულებებში, ფლობენ აქტიურ საარჩევნო უფლებას. თითოეულ კანდიდატს დასჭირდება 118 140 მხარდამჭერის ხელმოწერის მოგროვება, სულ მცირე, 12 რეგიონსა და დიდ ქალაქში. პრეზიდენტობის კანდიდატად საბოლოოდ რეგისტრაციისათვის საჭიროა კიდევ ორი დოკუმენტი: ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და დეკლარაცია პირად და ოჯახის წევრთა შემოსავლების შესახებ.

**დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია არჩევნებზე რომელიმე კანდიდატის (ან პარტიის) გამარჯვების გარანტიის არარსებობა. ყაზახეთის შემთხვევაში ეს სწორედ ასეა — საკმაოდ ძნელია, ცალსახად ვამტკიცოთ, თუ რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს. მაგრამ არ არსებობს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ყაზახეთი შუა აზიის განვითარების ლოკომოტივი დარჩება. დამოუკიდებლობის წლებში, ერთიანობის და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების შედეგად, ყაზახეთის სახელმწიფოებრიობა იმდენად განმტკიცდა, რომ რაიმე რყევებსა და გაურკვევლობას როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკაში ადგილი არ ექნება.**

**რევაზ გიორხელიძე**

# საწვავს გააძვირებს არა აშშ-ირანის დაპირისპირება, არამედ გაუფასურებული ვალუტა

**ამერიკასა და ირანს შორის ურთიერთობები ბოლო დღეებში განსაკუთრებით დაიძაბა. მხარეებს შორის აქამდე მიღწეული შეთანხმებები ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. ევროპის ქვეყნები ორივე მხარეს დაბალანსებული პოლიტიკის გატარებისკენ მოუწოდებს, თუმცა ნავთობის ტანკერები, სამხედრო მობილიზაცია და მხარეთა ლიდერების მიერ გაკეთებული ხისტი მუქარები საპირისპიროზე მეტყველებს.**

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გაზრდილი დაძაბულობის გამო ნავთობის ფასები იზრდება. ბარელის ფასმა ლონდონის ბირჟაზე 1.9%-ით უკვე მოიმატა. რა გავლენას მოახდენს ეს დაპირისპირება საწვავის ფასებზე გლობალურად და, მათ შორის, საქართველოში?

დარგის სპეციალისტები ერთ რამეზე თანხმდებიან — მნიშვნელოვანია, ეს დაპირისპირება გრძელვადიანი არ გახდეს და ძალიან მალე დასრულდეს.

ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციის (აფბა) ვიცე-პრეზიდენტი პაატა ბაირახტარი **უახლოეს მომავალში საწვავის ფასების მკვეთრ ზრდას გამორიცხავს:**

„მთავარია, მხარეები კვლავ შეთანხმდნენ და ვითარება კიდევ უფრო მეტად არ დაიძაბოს. რაც შეეხება დღეს მიმდინარე მოვლენებს, ნავთობის ფასთან მიმართებაში ურთიერთსაპირისპირო მოვლენები ხდება, რაც ჯერჯერობით მდგომარეობას აბალანსებს. მაგალითად, ფასები გაზრდილია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, მაგრამ ბოლო ერთი თვეა, რაც დაბლა იწევს ნიუ-იორკის საფონდო ბირჟებზე. ფასების ბალანსი ამერიკის მხრიდან ნავთობის მოპოვების ზრდის შედეგია“.

რადგან ბოლო კვირებში აშშ-მა მეტი ნავთობი მოიპოვა და აწარმოა, ამ მიზეზით კი საერთაშორისო ბაზარზე საწვავის ფასები მკვეთრად არ გაზრდილა, ბაირახტარი დარწმუნებულია, რომ მნიშვნელოვან გავლენას საქართველოს ვითარებაზე ჯერჯერობით ვერ მოახდენს. ის, რაც ადგილობრივ ბაზარზე საწვავს გააძვირებს, ეს გაუფასურებული ეროვნული ვალუტაა.

„თუ გლობალურ ბაზარზე უფრო არ დაიძაბა ვითარება და ეს დაპირისპირება არ გაგრძელდა უფრო დიდხანს, მანამდე ჩვენთან გავლენას არ მოახდენს. აქ დღეს სხვა რამეა უფრო პრობლემა — გაუფასურებული ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში. ბოლო 7-8 წელში 4 პუნქტით გაუფასურდა ლარი, რაც სერიოზული პრობლემაა. ნავთობკომპანიები კი, როგორც წესი, მსგავს შანსებს არ უშვებენ ხელიდან და მაშინვე აძვირებენ პროდუქტებს“, — ამბობს ბაირახტარი.

**სალომე ლემონჯავა**



# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ლელა დოდაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლელა დოდაშვილი (პ/ნ 12001005156), გარდაბანი, კ. ლესელიძის ქ. №6, ბინა №30.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
გარდაბანი, კ. ლესელიძის ქ. №6, ბინა №30 (საკადასტრო კოდი: 81.15.07.019.01.030https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9006.72 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 16 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 4 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP60146219;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 601462

6. **მოვალე:** ლელა დოდაშვილი (პ/ნ 12001005156), გარდაბანი, კ. ლესელიძის ქ. №6, ბინა №30; ზაზა დოდაშვილი (პ/ნ 12001005155), გარდაბანი, კ. ლესელიძის ქ. №6, ბინა №30.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP60146219; ლოტის ნომერი: 601462).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 4 ივნისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ია გაბაიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ია გაბაიძე (პ/ნ 61001049587), ბათუმი, რურუას ქ. №2, ბინა 23.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №72 (საკადასტრო კოდი: 20.42.07.026https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 22907.72 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 16 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 4 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP60146019;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 601460

6. **მოვალე:** ია გაბაიძე (პ/ნ 61001049587), ბათუმი, რურუას ქ. №2, ბინა 23;
ენდი მახარაძე (პ/ნ 01001080699), თბილისი, ქერჩის ქ. №22, ბინა 617;
შპს „ქობპეტროლი“ (ს/ნ 446970065), ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №72;
შპს „დითაილ-იონსე“ (ს/ნ 400218830), თბილისი, ქერჩის ქ. №22, ბინა 617.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP60146019; ლოტის ნომერი: 601460).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 4 ივნისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# „თანამდებობა ჩემი ნებით არ დამიტოვებია, ჩემი გადაყენება ბიძინა ივანიშვილთან იყო შეთანხმებული“



საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი გიორგი ქობულია გუშინ პარლამენტში იმყოფებოდა. მასთან შეხვედრას მმართველი პარტიიდან წასული დეპუტატები და საპარლამენტო ოპოზიციის წევრები ესწრებოდნენ.

„მე თანამდებობა ჩემი ნებით არ დამიტოვებია, მე ვიყავი გადაყენებული. ჩემი გადაყენების პრეროგატივა პრემიერს აქვს, მე მგონია, ამაში გასაკვირი არაფერია. ეს გადაწყვეტილება მმართველი პარტიის ლიდერთან კონსულტაციების შედეგად იყო მიღებული. ჩემი გადაყენების მიზეზები იყო ის, რომ მე მხარს არ ვუჭერდი მთელ რიგ გადაწყვეტილებებს“, – აცხადებს ქობულია.

# თავდასხმა მერის წარმომადგენელზე



გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს სოფელ ჩუმლაყში ფიზიკურად გაუსწორდნენ. ზაზა რუაძეს დაზიანება თავის არეში აქვს მიყენებული.

დაპირისპირება სოფლის ხელმძღვანელს ჩუმლაყელ ძმებთან – დავით და ბაჩანა ბერულაშვილებთან მოუვიდა. ინციდენტი სოფელში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოს მოჰყვა. ე. წ. ბაღის უბნის რეაბილიტაციის ფარგლებში გზის გათხრის დროს ბერულაშვილების კუთვნილი წყლის მილი დაზიანდა. მის აღდგენამდე ბერულაშვილები უბანში წყლის მიწოდების შეწყვეტას მოითხოვდნენ, რასაც ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. თავად ზაზა რუაძე მომხდარ ფაქტს ადასტურებს, ბერულაშვილები კი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს უარყოფენ. პოლიციამ საქმეზე გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „არქის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „არქი“ (ს/ნ 200120975), თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, ყიფშიძის შეს. №15, სართული 3.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, პეტრე იბერის ქ. №16ბ, სართული 11, ბინა 74 (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.154.01.02.074https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 29653.8 ლარი დღგ-ის ჩათვლით;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 16 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 4 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP60145719;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 601457

6. **მოვალე:** ნესტან ხმელიძე (პ/ნ 60001014280), ქ. ქუთაისი, ზ. ჭავჭავაძის ქ. №18, ბინა №44.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP60145719; ლოტის ნომერი: 601457).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 4 ივნისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

სუმო

# მეოთხე ნაბიჯი

**ნაცუ ბაშოზე გრძელდება ქართველ სუმოისტთა წარმატებული გამოსვლა. წლის მესამე სუპერტურნირზე ოთხიდან ოთხი (!) მოგება დაუგროვდა ლევან გორგაძეს, რომელიც გუშინ ტამავაშის ხვდებოდა და მისი დამარცხება საოცარ სტილში მოახერხა.**

მონღოლმა მეტოქემ შერკინება კოტენაგის ილეთის მცდელობით დაიწყო და ტოჩის დოჰიოს ხაზთან ცუპარებით მიყვანა სცადა, თუმცა, ჩვენმა გოლიათმა



34 წლის აზიელის შეტევა მოიგერია და თავადვე იორიკირის ილეთით დააგვირგვინა!

ურთიერთშეხვედრებში ეს აღნიშნული წყვილის 28-ე დაპირისპირება იყო და ამ მხრივ ქართველს დიდი უპირატესობა აქვს - 10 მარცხი 18 მოგების საპირისპიროდ.

ამრიგად, ტოჩინოშინმა მიმდინარე ბაშოზე მეოთხე გამარჯვება იზეიმა და, საერთოდ, შესანიშნავ კონდიციებშია. ქართველ სუმოისტს ოძეკის ტიტულის დასაბრუნებლად დარჩენილი 11 ორთაბრძოლიდან მინიმუმ 6 ქულის მოპოვება მართებს.

აქვე გეტყვით, რომ დღეს ლევანის მეტოქე ჰოკუტოფუჯი იქნება.

**კობა კობახიძე**

ჩოგბურთი

# სისხლი სისხლის წილ



**ახლახან ბუდაპეშტის ტურნირის მეოთხედფინალში ქართველ ჩოგბურთელთა ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი სერბ ლასლო ჯერესთან დამარცხდა, რომელიც შესანიშნავ სეზონს ატარებს: გაიმარჯვა რიო დე ჟანეიროს გრუნტზე, ნახევარფინალამდე გააღწია სან პაულუში და მადრიდის „მასტერსზე“ თვით ხუან მარტინ დელ პოტროს სძლია.**

ამდენად, კიდევ უფრო მეტად ფასობს ჩვენი თანამემამულის მიერ ასეთ ამბიციურ მეტოქესთან რომის „მასტერზის“ მეორე წრეში ორ პარტიაში აღებული რევანში – 7:5, 6:4. არადა, აღსანიშნავია, რომ შეხვედრის წინ ბუკმეკერები ფავორიტად სწორედ ბალკანელს მიიჩნევდნენ.

ნიკას დღეს რაფაელ ნადალსა და ჟერემი ჩარდის შორის გამარჯვებულთან მოუწევს შებმა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

გრანდ სლემი

# არის პარამედლები!

**საქართველოს სპორტული დელეგაცია 8 წევრით იყო წარმოდგენილი პარაძიუდოისტთა ბაქოს გრანდ სლემზე და მათგან 66 კილოში მოასპარეზე გიორგი ქალდანი სამშობლოში ოქროს მედლით დაბრუნდა, ხოლო რევაზ ჩიკოიძე (+100კგ) – „ბრინჯაოთი“.**

აღსანიშნავია, რომ სატიტულო ბრძოლაში ქალდანმა ტატამის ტიტულოვანი მასპინძელი – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, აგრეთვე ოლიმპიური პრიზიორი დაამარცხა.

დავძენთ, რომ საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლის შანსი მსოფლიოს პრიზიორ გიორგი გამჯაშვილსა (66 კგ) და ზურაბ ზურაბიანსაც (60 კგ) ჰქონდათ, მაგრამ „ბრინჯაოსთვის“ გამართული შეხვედრები წააგეს და მეხუთე ადგილები დაიკავეს.

**მანუჩარ გიორგაძე**




სამბო

# გზად მინსკისაკენ



**დღეს ესპანურ ხიხონში იწყება სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯონდო მუზაშვილმა გადახალისებული შემადგენლობა წაიყვანა:**

**ვაჟები:** ლევან ბერბერაშვილი (52), ირაკლი კუპატაძე (57), თორნიკე ჭოველიძე (62), მინდია ლილუაშვილი (68), კახა მამულაშვილი (74), შმაგი დადუნაშვილი (82), თორნიკე ჯულელი (90), გიორგი კობაიძე (100), ბექა ბერძენიშვილი (+100).

**ქალები:** მარიამ ციხელაშვილი (52), სალომე აბაშიძე (60), ნინო ოძელაშვილი (80), ელენე ქებაძე (+80).

ჩვენი გუნდის კონტინენტურ ფორუმზე დიდი საკადრო დანაკლისით გამგზავრების მიზეზი უფრო პრიორიტეტულად მიჩნეული მეორე ევროპული თამაშებია, რომელსაც ივნისის ბოლოს მინსკი უმასპინძლებს.

სავარაუდოდ, სწორედ ბელარუსის დედაქალაქში იასპარეზებს „ჯვაროსანთა“ ყველა ლიდერი, მათ შორის – მსოფლიოს ხუთგზისა და ძველი სამყაროს ოთხგზის ჩემპიონი ვახტანგ ჩიდრაშვილი (57).

**ბადრი იაშვილი**

ევროტურნირები

# ნდობის ვოტუმი



**ცნობილი გახდა იმ მსაჯთა ვინაობა, ვისაც უეფამ ნდობა გამოუცხადა და წლევანდელი პოპულარული საკლუბო ტურნირების ფინალური მატჩების გაძღოლა დაავალა.**

29 მაისს ბაქოში დანიშნულ ევროპის ლიგის სატიტულო რაუნდს „ჩელსისა“ და „არსენალს“ შორის იტალიელი არბიტრი ჯანლუკა როკი მოემსახურება, ხოლო 1 ივნისს მადრიდში ჩემპიონთა ლიგის სეზონს



გვირგვინს სლოვენიური ბრიგადა დაადგამს ასეთი შემადგენლობით: დამირ სკომინა, **ასისტენტები** – იურე პრაპოტნიკი, რობერტ ვუკანი; **რეზერვი** – ანტონიო მატეო ლაოსი (ესპანეთი); **ვიდეო** – დანი მაკელი, პოლ ვან ბუკელი (ჰოლანდია), ფელიქს ცვაიერი და მარკ ბორში (გერმანია).

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# შორს სამოსი!

**ქალთა ფეხბურთისგან განსხვავებით, იტალიურ ქალთა ფრენბურთში ჭეშმარიტად დიდი გამოღვიძებაა და ეს აპენინელ გოგონათა წარმატებებითაც დასტურდება. თუმცა, ალბათ, ხვდებით, რომ ამჯერად იქაური ფრენბურთელი ტურფები სულ სხვაგვარი კუთხით უნდა წარმოგიდგინოთ.**

მას შემდეგ, რაც იტალიის პატარა ქალაქ კონელიანოს ფრენბურთელ ქალთა გუნდი ქვეყნის ჩემპიონი შეიქნა, შხვართებმა გამარჯვება მეტად თვალსაამოდ აღნიშნეს და შამპანურის სმის გარდა, მათ მიერ დამსახურებულად მოპოვებულ თასთან ჩახუტებულებმა სრულიად შიშვლებმა გადაიღეს ფოტოები.

ჩვენ მიერ წარმოდგენელ სურათზეც კარგად ჩანს, რომ გამარჯვებით აღტაცებულ დედიშობილა ფრენბურთელებს არანაირი კომპლექსი და შეცბუნება არ ეტყობათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ გოგონებს შემდგომი წარმატებების კიდევ უფრო მეტი ეპატაჟურობით აღნიშვნაც ძალუძთ...

**ბეჟან დოლიძე**



# მუზეუმები კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებას არ იზიარებენ

**„ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმი“ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებას დაემორჩილება, თუმცა მისი ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ მუზეუმები მათთან შეთანხმების გარეშე არ უნდა გაეერთიანებინათ.**

„გამოყენებითი ხელოვნებისა“ და „ქართული ხალხური საკრავების“ მუზეუმები არ ეთანხმებიან მათ მიერთებას „საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმთან“.

მუზეუმებში აცხადებენ, რომ მათთვის უფრო მისაღები იქნებოდა „ფოლკლორის ეროვნულ ცენტრთან“ შეერთება, რადგან მასთან მეტი გადაკვეთის წერტილი აქვთ.

მუზეუმების გაერთიანების შესახებ ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 3 მაისს გაავრცელა, გაერთიანებაზე მთავრობის მიერ 30 აპრილს მიღებული დადგენილება კი **„საქართველოს საკანონმდებლო მაცნემ“ 6 მაისს გამოაქვეყნა.**

**დადგენილების მიხედვით, კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში** მყოფი **„ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმისა“ და „საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის“ უფლებამონაცვლედ გამოცხადდა „საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი“.**

„გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის“ დირექტორის ანა შანშიაშვილისთვის მიუღებელია სამინისტროს არგუმენტი, რომ **„გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის“** კოლექციები თვისებრივად **„თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის“** კოლექციის **„იდენტური ან მათი გაგრძელებაა“** და, შესაბამისად, მათი გაერთიანება ლოგიკურია.

ერთ სუბიექტთან როდესაც გვექნება საქმე, მართვა უფრო ადვილი იქნებაო. ევროპის მუზეუმების გამოცდილება მოიყვანეს. მესმის, მაგრამ არის რაღაც საკითხები, რომლებიც მუზეუმებთან შეთანხმებით უნდა გადაწყდეს...

**„დასახელებიდან გამომდინარეც შეიძლება იმსჯელო, რანაირად შეიძლება იყოს იდენტური. დადგენილებით, „თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი“ რჩება იმავე სახელით. საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით ვიწონებთ თავს და უცებ გამოდის, რომ ამ მიმართულების ორ მუზეუმს ვკარგავთ“**, — ამბობს ანა შანშიაშვილი.




„გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში“ უკვე მიიღეს ბრძანება რეორგანიზაციის შესახებ. შესაბამისად, დირექტორს დაევალა თანამშრომლების გაფრთხილება.

ანა შანშიაშვილი არ გამორიცხავს, რომ „ფოლკლორის ცენტრთან“ გაერთიანების შემთხვევაში გარკვეული დადებითი შედეგები დამდგარიყო. მაგალითად, გამონახულიყო თანხები მუზეუმის ექსპედიციების დასაგეგმად, რისი საშუალებაც დღეს არა აქვთ.

„ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმი“ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებას დაემორჩილება, თუმცა მისი ხელმძღვანელი რევაზ კოტრიკაძე ფიქრობს, რომ მუზეუმები მათთან შეთანხმების გარეშე არ უნდა გაეერთიანებინათ.

**„ფოლკლორის სახელმწიფოს ცენტრი“ ეწევა იგივე სამუშაოებს, რასაც ჩვენ, ამიტომ შესაძლებელი იქნებოდა მასთან გაერთიანება. „ფოლკლორის ცენტრში“ ხალხური შემოქმედების კუთხით უამრავი სპეციალისტი მუშაობს. საერთო ენას მათთან უფრო გამოვნახავდით“**, — ამბობს რევაზ კოტრიკაძე.

მისი ინფორმაციით, გაერთიანების საკითხზე დარგობრივი მუზეუმების ხელმძღვანელებს სამინისტროდან ჯერ კიდევ თებერვალში შეხვდნენ.

**„ერთ სუბიექტთან როდესაც გვექნება საქმე, მართვა უფრო ადვილი იქნებაო. ევროპის მუზეუმების გამოცდილება მოიყვანეს. მესმის, მაგრამ არის რაღაც საკითხები, რომლებიც მუზეუმებთან შეთანხმებით უნდა გადაწყდეს“**, — აცხადებს **რევაზ კოტრიკაძე.**

„რადიო თავისუფლებასთან“ კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა **„თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის“ დირექტორმა გიორგი კალანდიამ. მისი თქმით, გადაწყვეტილება სამინისტრომ მიიღო. შესაბამისად, კომენტარის გაკეთება არ შეუძლია.**

კულტურის მინისტრსა და პრემიერ-მინისტრს, რომელმაც ხელი მოაწერა გაერთიანების დადგენილებას, **„გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმმა“ და „ქართული ხალხური საკრავების მუზეუმმა“** უკვე მიმართეს. მათი სურვილია, ხელისუფლებამ მოისმინოს დასაბუთება, თუ რატომაა მათთვის მიუღებელი განსხვავებული პროფილის მუზეუმთან გაერთიანება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ მუზეუმებში ცვლილებების განსახორციელებლად **ვადა 2019 წლის 1 ივლისამდე აქვს.**

**ცირა გურგენიძე**



# გია მურღულიამ განათლების რეფორმის ჩავარდნის რისკები დაასახელა

**განათლების სპეციალისტი გია მურღულია განათლების სამინისტროს და რეფორმაში ჩართულ პირებს ურჩევს რისკები შეაფასონ. მისი თქმით, ბევრ ქვეყანაში ჩავარდა განათლების რეფორმა, დოკუმენტს შეძლებისდაგვარად კარგს ქმნიდნენ, ზოგჯერ ძალიან კარგსაც, მაგრამ დანერგვის დროს რა პრობლემებიც შეექმნებოდათ, ეს აღარ გაითვალისწინეს. ეს განათლების რეფორმის ჩავარდნის პირველი რისკია,** — განაცხადა გია მურღულიამ გადაცემაში „პირისპირ“.

**...მაგალითად, ყველა ვინც არ უნდა იფიქროს განათლების სისტემის რეფორმირებაზე, რამდენიმე ცენტრალურ საკითხს ეხება. ეს არის: ინფრასტრუქტურა, შინაარსობრივი მხარე, კადრები, მართვის მხარე და დაფინანსება. ამ საკითხების გადაჭრა კომპლექსურად არის საჭირო. ცალკეული მიმართულებებით რაღაც აქტივობები კარგ შედეგს ვერ მოიტანს, იმიტომ რომ ერთი რომ კარგი იყოს, დანარჩენი ოთხი ველარ ეწევა,** — განაცხადა გია მურღულიამ.

მისი თქმით, განათლების სამინისტროს ბოლო გადაწყვეტილებაში, მას ის მოეწონა, რომ კომპლექსურად იყო გააზრებული რამდენიმე, ყველა მთავარი მიმართულება.

გია მურღულიას განცხადებით, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება პედაგოგებისთვის დამსახურების მიხედვით ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით, ბადებს ორ რისკს:

**თუ ხელფასი საკმარისად ამაღლდა, მოუნდება ამ სისტემაში შემოსვლა ისეთ ადამიანსაც, რომელიც აქ შემოსვლას არ იმსახურებს არც კომპეტენციით, არც განწყობებით და ღირებულებებით; და მეორე — ის ადამიანები, რომლებიც კარგი იქნება, რომ უკვე გავიდნენ სისტემიდან, შეიძლება ხელფასის მატებამ ისინი დააბას სისტემაში და აღარ გავიდნენ,** — განაცხადა გია მურღულიამ.

მასწავლებელთა რეგისტრაცია კომპეტენციის დასადასტურებლად 2019 წლის 13 მაისს დაიწყო და როგორც მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა განაცხადა, პირველივე დღეს მინიმალური კომპეტენციის დადასტურების სურვილი 2000-ზე მეტმა მასწავლებელმა გამოთქვა.

13 მაისს ცნობილი გახდა, რომ 2019 წლის სექტემბრიდან მასწავლებლების ნაწილს ხელფასი გაეზრდება.

## სულთათანა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგასა და მეგობარს ფიქრია ლაშქარაშვილს მამის

### ანზორ ლაშქარაშვილის

გარდაცვალების გამო.

„ჯანმრთელობის ცენტრი“ სამძიმარს უცხადებს თინათინ გაიდამაშვილს დედის

### ლამარა დემურიშვილის

გარდაცვალების გამო.

# აფეთქება ნატანებში



**სამშაბათს, გვიან ღამით, ნატანებში საზოგადოებრივი ცენტრი დაარბიეს. ჩატეხილია შესასვლელი კარის შუშა. უცნობებმა შენობაში არსებული „ლიბერთი ბანკის“ ბანკომატი ააფეთქეს, ჯერჯერობით უცნობია, მოახერხეს თუ არა მათ თანხის წაღება.**

აღსანიშნავია, რომ ბოლო 2 თვის განმავლობაში საზოგადოებრივ ცენტრზე თავდასხმის უკვე მეორე შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა ამ დრომდე გამოძიებული ერთი თავდასხმაც არ არის.

# აიპლიუსის მაღაზია არასრულწლოვნებმა გაქურდეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, არასრულწლოვნები — 2001 წელს დაბადებული გ.ქ. და 2002 წელს დაბადებული ნ.მ., ქურდობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი ტექნიკის მაღაზიის შუშის კარი ჩაამსხვრიეს და მაღაზიაში უკანონოდ შეაღწიეს.შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მისულმა სამართალდამცველებმა არასრულწლოვნები იმ დროს დააკავეს, როდესაც მაღაზიაში, სტენდებზე განთავსებული ძვირად ღირებული მობილური ტელეფონების მოპარვას ცდილობდნენ. გამოძიება ქურდობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.**



# ვულოცავთ!



დედაშვილობა

ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ვულოცავთ ღირსეული ოჯახის ღირსეულ შვილს, სამაგალითო მეუღლეს, დედასა და უკვე — ბებოს, დიდი სანათესავოსა და სამეგობროს სულსა და გულს, ავკარგიანობით გამორჩეულ ქალბატონს ეკა იურის ასულ მიქაუტიძეს.

ეტყობა, ღვთის წყალობაა, რომ დღესვე საუკეთესო სურვილებით მიიღებს მილოცვებს ღირსეულ მშობელთა ღირსეული ნაშიერი, უკვე თავადაც საამაყო დიასახლისი ანა შალვას ასული ბაქრაძე.

დედაშვილობის მადლი გფარავდეთ, ძვირფასებო!

ეკა გურგენიძე, ხათუნა მოდებაძე, დათო კობახიძე, გია პლატონიშვილი,

# თამთა გოდუაძისა და ოთო ნემსაძის პერფორმანსები

**ოთო ნემსაძე ევროვიზიის მაყურებლის წინაშე ეფექტური შოუთი წარდგა. ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელი მეთერთმეტე ნომრად გამოვიდა და სიმღერა — „სულ წინ იარე“ შეასრულა.**

ქართველმა მომღერალმა თამთა გოდუაძემ, კი კვიპროსის სახელით ევროფესტივალი გახსნა და 4 შვედ მოცეკვავესთან ერთად სცენაზე სტანდარტის თამასა დააწესა.

საქართველო ევროვიზიის კონკურსს გამოეთიშა. აღსანიშნავია, რომ თამთა გოდუაძე, რომელიც ევროვიზიაზე კვიპროსის სახელით იღებს მონაწილეობას კონკურსის ფინალშია.

**ევროვიზიის ფინალში კი გადავიდნენ საბერძნეთი, ბელარუსი, სერბეთი, კვიპროსი, ესტონეთი, ჩეხეთი, ავსტრალია, ისლანდია, სან მარინო და სლოვენია.**

ევროვიზიის სიმღერის რიგით 64-ე კონკურსის პირველი ნახევარფინალი თელ-ავივში 14 მაისს გაიმართა. ევროფესტივალის მე-2 ნახევარფინალი 16 მაისს, ხოლო ფინალური კონცერტი 18 მაისს გაიმართება.

კონკურსში წელს 41 ქვეყანა მონაწილეობს.



# აბორტის გაკეთებისთვის - 99 წლამდე პატიმრობა

**აშშ-ში, ალაბამას შტატში, სენატმა მიიღო კანონი, რომელიც ქალებს აბორტის გაკეთებას გაუპატიურებისა და ინცესტის შემთხვევაშიც უკრძალავს. კანონპროექტი 25 ხმით 6-ის წინაღმდეგ შტატის გუბერნატორს ქეი ივის გადაეგზავნა, რომელმაც რატიფიცირებისთვის ხელი უნდა მოაწეროს. ახალი კანონმდებლობით აბორტი მხოლოდ იმ უკიდურესად ექსტრემალურ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ქალის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.**




ალაბამას შტატის ექიმები, რომლებიც ეცდებიან ნაყოფის ხელოვნურად სიცოცხლის შეწყვეტას 10 წლამდე, ხოლო პროცედურის განხორციელების შემთხვევაში 99 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

„ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია“ კანონპროექტს არაკონსტიტუციურს უწოდებს და გუბერნატორს მოუწოდებს, ხელი არ მოაწეროს.

ალაბამაში პოლიტიკოსების აზრი ორად იყოფა:

**დემოკრატები აცხადებენ, რომ ახალი კანონმდებლობა ექიმების საქმიანობის კრიმინალიზაციას ახდენს. ავიწროებს ქალთა უფლებებს და ხდის უუფლებოს საკუთარ სხეულზე.**

**რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ კანონმდებლობამ განსაზღვრა ემბრიონი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც ადამიანისთვის განსაზღვრული კონსტიტუციური უფლება ჩასახვის მომენტიდან წარმოექმნება.**

ალაბამას შტატში ქალები საპროტესტო აქციებს აწყობენ და გუბერნატორ ივის კანონპროექტის ჩაგდებისკენ მოუწოდებენ. საპროტესტო აქციის მონაწილეთა განცხადებით, კანონის მიღების დღე იქნება ალაბამას საკანონმდებლო ისტორიაში შავი დღე.

ქეი ივი რესპუბლიკელი გუბერნატორია და მას ამ კანონპროექტისთვის ხელი ჯერ არ მოუწერია.

# მონეს „თივის ზვინები“ 110.7 მლნ დოლარად გაიყიდა

**ფრანგი იმპრესიონისტის კლოდ მონეს შედევრი „თივის ზვინები“ ნიუ იორკში გამართულ სოთბის აუქციონზე 110.7 მლნ დოლარად გაიყიდა.**

სოთბის აუქციონის სახლის წარმომადგენლის განცხადებით, ეს არის რეკორდული თანხა, რაც კი ოდესმე მონეს ნახატში გადაუხდიათ.

მისივე თქმით, ეს არის მეცხრე ყველაზე ძვირი ნახატი, რომელიც სოთბის აუქციონზე გაყიდულა.

კლოდ მონემ ნახატების სერიის „თივის ზვინების“ შექმნა 1890 წელს დაიწყო. ზოგიერთი მათგანი განთავსებულია სხვადასხვა მუზეუმში, მათ შორის მეტროპოლიტენ მუზეუმსა და ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტში.

ნახატის ამჟამინდელი მყიდველის შესახებ ინფორმაციას აუქციონი არ ავრცელებს.



# მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7422; ევრო - 3.0795;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5525;
100 რუბლი - 4.2010; თურქული ლირა - 0.4550;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6171;
1000 სომხური დრამი - 5.7034.

ამინდი 16 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +10, | დღე | +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7, | დღე | +31 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +10, | დღე | +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7, | დღე | +31 |
| თბილისი: | ღამე | +13, | დღე | +29 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge